

დამიჯერე ასე იქნება. იარაღი თან დააქვს.

- დიანა, ნამდვილად იცი იარაღი თან რომ აქვს?

- ვიცი, ნამდვილად ვიცი! ჩემი თვალით დავინახე როგორ ამოიღო უჯრიდან და წაიღო, - ქალმა უჯრა გამოსწია და შიგ ჩაიხედა. მერე ფერდაკარგული ზაზასკენ შემობრუნდა და უთხრა, - იარაღი აქ აღარ არის!

- დიანა, საქმე მართლაც რომ, სერიოზულადაა. არავინ იცის ასეთ შემთხვევაში შეურაცხყოფილი კაცი რას მოიმოქმედებს. აუცილებლად უნდა განვაიარაღო.

- როგორ?

- შენ კარი გაუღე, მე თავს დავესხმი და განვაიარაღებ. დანარჩენს მდგომარეობა გვიკარნახებს თვითონ. დამიჯერე ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს.

დიანამ კარი გააღო. სახეგაბადრული დომენტი მეუღლისაკენ ხელგამოწოლი წავიდა, გულში ჩაიკრა, თან მოეფერა, ჩემო დაბუაო.

ამის თქმა ძლივს მოასწრო კაცმა. უკნიდან ზაზა წამოეპარა და ერთი ხელი პირზე ააფარა, მეორე კი მკერდზე და ჰაერში ბუმბულივით აიტაცა. ისე მიძიმედ დაახეთქა იატაკზე, რომ სუსტი აღნაგობის დომენტიმ ერთხანს გონი დაკარგა. თავდამსხმელმა სასწრაფოდ ამოაცალა „მეკაროვი“.

- გავიქცეთ, ზაზა! - ურჩია ქალმა მამაკაცს და მთელი ტანით მიეკრა აცახცახებული.

- გაქცევაში გამოსავალს ვერ ვხედავ. სკოჩი მომიტანე, ხელები და პირი უნდა აფუკრა.

რამდენიმე წუთის შემდეგ თვალდახუჭული დომენტი იატაკზე უძრავად ეგდო პირაკრული.

- ხომ არ მოკვდა? - იკითხა ქალმა.

- არა, შოკშია, გონს ჩქარა მოვა, ნუ გეშინია.

- ეს საქმე იოლად არ დამთავრდება, არ გვაპატიებს, - წაიწუწუნა თვალცრემლიანმა ქალმა.

- ნუ გეშინია, დიანა. აზრზე მოვიყვანოთ, შემდეგ აუხსნათ, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს. შემდეგ ოფიციალურად განქორწინდებით. მეც გავცილდები ჩემს მეუღლეს. ყველაფერი

ისე იქნება, როგორც ჩვენ გვინდა.

- ზაზა, დომენტი გვიყურებს. მგონი აზრზე მოდის, ცოდნა სკოჩი ააცალე.

- იყვირებს და შეიძლება ვინმემ გაიგონოს.

დომენტიმ თავი გააქნია და ზაზას ანიშნა არ ვიყვირობო.

- ააცალე რა, ააცალე ცოდნა! - შეეხვეწა ქალი.

ზაზამ დომენტის სკოჩი ააძრო.

- ბრიყვო! გომბეშო! - თქვა დომენტიმ, სახეზე ოფლი წურ-წურით წამოუვიდა და თვალები დახუჭა.

- ჩქარა მოემზადე, უნდა გავიქცეთ.

დიანა დაფაცურდა.

- მზად ვარ, ზაზა, - თქვა ქალმა და ქმარს გახედა.

- ზაზა, მგონი დომენტი ცუდადაა!

ზაზა დომენტის დააცქერდა. ღმერთო მაპატიეო, - თქვა და პირჯვარი გადაისახა.

- რა მოხდა ზაზა?!

- დომენტი აღარ არის!

- როგორ აღარ არის?!

- ის მოკვდა.

- როგორ თუ მოკვდა?!

- დომენტი მოკვდა, - გაიმეორა ზაზამ და დიანას ხელი ხელზე მოჰკიდა.

- ჩუმად, ხმა არ ამოიღო, თორემ დიდი უსიამოვნება არ აგვცდებდა. - გააფრთხილა ქალი.

- დიანა ჩუმად აქვითინდა.

ზაზამ დომენტი სავარძელში ჩასვა, როგორც ცოცხალი, ხელ-ფეხი გაუხსნა, დიანასაკენ შებრუნდა და უთხრა:

- დიანა, ახლა უნდა დაგტოვო. ჩემი გასვლის შემდეგ, ჭიშკარი ჩარაზე. ასეა საჭირო. შემდეგ შენსა და დომენტის ნათესავებს შეატყობინე. აბა, შენ იცი, შენი იმედი მაქვს.

X X X

დომენტის გარდაცვალების ამბავი დილიდანვე მოედო ქალაქს. ათასი ჭორი ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ ყველას სჯეროდა დომენტის გულის შეტევით გარდაცვალება.

რამდენიმე თვის შემდეგ ზაზა და დომენტის ქვრივი ოფიციალურად დაქორწინდნენ.

X X X

ცივსა და თოვლ-ჰყაპიან მარტის დილას ზაზა აღრიხანად წამოდგა ლოგინიდან. აივანზე გასასვლელ შემინულ კართან მივიდა და ალექსანდრეს სახელოსნოსაკენ გაიხედა. შენიშნა რომ კარი ღია იყო.

- ნეტავ რატომაა კარი ღია? ამ დროს ალექსანდრე აქ არ მოვიდოდა. ქურდებმა ხომ არ გააღეს? ცოლოა ბიჭი, გაუნადგურებდნენ ყველაფერს.

ზაზამ ტანსაცმელი სასწრაფოდ ჩაიცვა და ის იყო გარეთ უნდა გამოსულიყო, რომ სახელოსნოს კარიდან ნახატებით ხელში გამოშვალა ალექსანდრე დაინახა.

- ალექსანდრე ყოფილა, - ჩაილაპარაკა გახარებულმა, ისევ აივანზე ვავიდა და ალექსანდრეს გასძახა.

- დილა მშვიდობისა, ალექსანდრე! რამ მოგიყვანა ამ ჯოჯობეთურ ამინდში აქ, ასე ადრე? სად იყავი, რომ აღარ ჩანდი.

- დროებითი სამუშაო მქონდა. ასე რომ არა მიშავს, რაღაც ვიშოვე.

- ალექსანდრე, ცოტა ხანს დამელოდე, საქმე მაქვს შენთან, ახლავე მოვალ.

- გელოდები.

ზაზა ორი წუთის შემდეგ ალექსანდრეს სახელოსნოში იყო კონიაკიანი ბოთლით.

- ეგ რა არის, ზაზა?

- კონიაკია.

- რად გინდა?

- ალექსანდრე, თუ ჩემი ძმა ხარ ჯერ არსად წახვიდე, შენთან მინდა ეს დღე გავატარო. თანაც იცოდე, რამდენიმე სურათის ყიდვას ვაპირებ შენგან. ორი თვეა, რაც დიანასთან

გადმოვედი და ყოველდღე ვითვალთვალებ.

- ზაზა, შენ და დიანა მართლა შეუღლდით?

- შევუღლდით, ჩემო ალექსანდრე!

- მერე შვილები, რას ფიქრობ მათზე?

- შვილებს გზას მივცემ, ჩემთვის შვილების გზაზე დაყენების პრობლემა აღარ არსებობს. მე და დიანამ რამდენიმე ახალი საქმე წამოვიწყეთ, საკმაოდ სერიოზული საქმე.

- ზაზა, დიანა გიყვარს? - ჰკითხა ალექსანდრემ მოულოდნელად მეგობარს.

- რატომ მეკითხები?

- ისე, უბრალოდ, ბოდიში.

- რაკი შემეკითხე, გიპასუხებ. მე, ცოცხალი, ნორმალური ადამიანი ვარ, რომელსაც ყოველივე ის სიკეთე სჭირდება, რაც განგებამ დაუწესა ცოცხალ ადამიანს. ჰოდა, ძმაო ალექსანდრე, კი დაუწესა, მაგრამ სინით კი არ მიატოვა და უთხრა: არიქა, მოდი, ინებე, შენ ადამიანი ხარ და გეკუთვნისო. არა, სრულგებოთადაც არა. უბრალოდ გვითხრა: თუ გინდა ბედნიერი იყო, ყველა შენთვის განკუთვნილი სიკეთე თვითონვე მოიპოვეო და ჩვენც ადამიანები სხვადასხვა გზით ვცდილობთ მის მოპოვებას. არ იფიქრო, ალექსანდრე, რომ მე მჯერა მხოლოდ იმ გზით შეიძლება ბედნიერების მოპოვება, რომელიც მე ავირჩიე. არა! სრულიადაც არა. მე მჯერა რომ არსებობს უფრო სწორი გზა, მაგრამ ის გზა მძიმეა. დამიჯერე, ბედნიერების მოპოვების სწორი გზა, ისეთ არეულ საზოგადოებაში, როგორიც დღეს ჩვენი საზოგადოებაა, არ არის საიმედო. ჩვენ კი რა ვართ ადამიანები, უბრალო ხის ფოთლები, რომლებიც ერთხელ მოვდივართ ამქვეყნად და ერთხელ მივდივართ. მივდივართ სამუდამოდ და ამიტომ ძნელია ადამიანს, რომელსაც უნარი შესწევს, ახსოვდეს წარსული, ხედავდეს აწმყოს და განჭვრიტოს მომავალი; ადვილად შეაგნებინო, რომ შენ შენი ბედნიერება აუცილებლად მართალი გზით უნდა მოიპოვო და არა სიყალბითო, განსაკუთრებით არაჯანსაღ საზოგადოებაში. მით უმეტეს, როცა ადამიანმა ძალიან კარგად იცის, რომ გაჭირვებას ზღვარი აქვს და ამ ზღვარს ჰქვია სიკვდილი, რომლის შემდეგ ყველაფერი

მთავრდება და აზრს კარგავს, არარაობად იქცევა. ამასთან ერთად, გონიერ ადამიანს ისიც კარგად ესმის, თუ რა ტკბილი და თბილია მატერიალური კეთილდღეობა, ამიტომ ძნელია მოერიო ცდუნებას, რომელიც სიკეთის მოსაპოვებლად არაკაცურს გაკისრებინებს.

- მაშ, შენ ამბობ არაა საშველი? სულ მთლად მასე რომ იყოს, აივსებოდა ეს ქვეყანა „ბედნიერი“ თაღლითებით და ყალბაბანდებით. დაკარგავდა ყოველივე ადამიანურ ღირებულებას.

- მართალს ბრძანებ, ალექსანდრე, მხოლოდ არც მთლად მართალს.

- თქვი რამე საიმედო თუ იცი, ზაზა, თუ არა და გამისკდა გული კაცს.

- არც მთლად მასეაო, გითხარი მე და მართალიც ვარ, იცოდე. ახლა კი მომისმინე. - თქვა ზაზამ და დაიწყო:

- საზოგადოების წევრ ადამიანში კოდირებულია თვითგადარჩენის ინსტიქტი, რომელიც ყოველთვის ამუშავდება -ხოლომე კრიტიკულ მომენტში და შესწევს უნარი დიდი რყევები გამოიწვიოს თვით საზოგადოებაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში მთავრდება არასასურველი შედეგით, როგორც პიროვნებისათვის, ასევე საზოგადოებისათვის. ყოველივე ამის შემდეგ იქმნება სულ სხვა შეხედულებები ღირებულებებზე. ასე რომ ყოველ ღირებულებას სხვადასხვა ღროს სხვადასხვა ფასი და დანიშნულება აქვს. ეს კანონია და იგი არასოდეს არ დაირღვევა. ჩვენ კი ადამიანები ორ კატეგორიად ვიყოფით, მედროვეებად და მედგრებად. მედროვეები ეკონომიკურად ყოველთვის უკეთ გრძნობენ თავს მედგრებთან შედარებით, მაგრამ მედგრებსაც აქვთ თავისი უპირატესობა მედროვეებთან შედარებით. ისინი საკუთარ სულს არასოდეს უთმობენ ეშმაკს და ამით აღწევენ სულის სილალეს, რომელიც ადამიანისათვის, ყოველ შემთხვევაში, დიდი ბედნიერებაა, მაგრამ, საუბედუროდ, ადამიანი ორმაგი ბუნებისაა და ორივე ბუნება თავისას მოითხოვს, რომლის დაკმაყოფილების უნარი, ხშირ შემთხვევაში, არ შეგვწევს. სწორედა ეს გვაიძულებს ღვთის შვილთ არჩევანი გავაკეთოთ მედროვესა და მედგრობას შორის. ეს არჩევანი განსაზღვრავს

ადგილს საზოგადოებაში. ამიტომ არჩევანის გაკეთება აუცილებელი ხდება. თუ სწორი არჩევანი ვერ გააკეთე, ეს უკვე ნიშნავს, რომ შენ საზოგადოების არასრულფასოვანი წევრი ხარ. ჩვენს საზოგადოებაში დღეს იმისთანა ადამიანებს, როგორც მე ვიყავი და შენ ხარ, ფასი არ აქვთ, ჩანჩურები არიან.

როგორც გითხარი, ალექსანდრე, ერთხელ მოსულს ამქვეყნად ნამდვილად არ მინდა, რომ ჩანჩურა ვიყო და ჩანჩურად წავიდე ამქვეყნიდან. ეს ჩემი არჩევანია.

ხომ ხედავ იმ აივანს, - უთხრა ზაზამ ალექსანდრეს და ღიანას აივანისაკენ გაახედა, - არ გეგონოს მისი დაუფლებლობა ჩემთვის ადვილი იყო. დამიჯერე, ეს აივანი დიდი ნერვებისა და ენერჯის ხარჯზე მოვიპოვე. მე რომ ეს აივანი არ მომიპოვებინა, იმ მიზნების განხორციელებაზე ფიქრიც უაზრობა იქნებოდა.

- რა მიზნები გაქვს ასეთი, არ მეტყვი?

- გეტყვი, როგორ არ გეტყვი. ამ აივნიდან მე შესაძლებლობა მეძლევა, რომ დეპუტატის, თუ გინდ მინისტრის სავარძელს დავეუფლო. თუმცა, როგორც გითხარი, არც ამ აივანამდე მისვლა იყო ადვილი. მანამდე ჩემს თავს მოვერიე. იცოდე ვინც საკუთარ თავს მოერევა, მერე მას აღარაფრის აღარ უნდა ეშინოდეს, ის უკვე ძლიერია და თანაც ძალიან ძლიერი. გახსოვდეს, მხოლოდ ძლიერ ადამიანს შეუძლია არჩევანის გაკეთება. სუსტებს ამის საშუალება არ აქვთ.

- შენ, მართლაც რომ, ძლიერი ხარ, ზაზა, მაგრამ...

- არ გინდა ალექსანდრე, მაგრამ მე, მართლაც, ძლიერი ვარ, ძალიან ძლიერი. რომ იცოდე შენც ძლიერი ხარ, ალექსანდრე.

- მე რა ძლიერი ვარ, როცა ყოველდღიურად პურის ფულის შოვნა პრობლემად მაქვს გადაქცეული.

- ძლიერი ხარ, ალექსანდრე! შენ რომ ძლიერი არ იყო, მაგ გაჭირვებას ვერ აიტანდი და კაცობას უღალატებდი.

- ეს როგორ, ზაზა? გამოდის რომ შენს კაცობას და სინდისს ღალატობ და ამითა ხარ ძლიერი. მე არ ვღალატობ და მეც ამით ვარ ძლიერი. აქ რაღაც შეუსაბამობა უნდა იყოს,

ძმაო.

- რა შეუსაბამობა, ალექსანდრე! ნუთუ ვერ ხვდები, რომ ჩვენ ერთი რამ ისეთი გვაერთიანებს, რომლითაც ორივენი ძლიერნი ვართ.

- რა გვაქვს ის საერთო?

- რა და ორივენი საკუთარ თავს ვებრძვიტ. მე მინდა რომ დავამარცხო ის, შენ კიდე იმისათვის იბრძვი, რომ საკუთარი თავი დამარცხებული არ ნახო საკუთარ თავთან ბრძოლაში. ეს ბრძოლა მძიმეა, მაგრამ მაინც ვალწევთ წარმატებას. აქედან გამომდინარე, რაკი ვიბრძვიტ და ვალწევთ წარმატებას, ეს უკვე ნიშნავს, რომ ჩვენ ძლიერნი ვართ.

- ჰო, ვიყოტ ძლიერნი.

- კი არ ვიყოტ, უკვე ვართ ძლიერნი, ალექსანდრე! ჰოდა, თუ ვართ ძლიერნი, რატომ არ უნდა შევსვატ ჩვენი ძალ-ღონის სადღეგრძელო.

- მართალი ბრძანდებით, ბატონო ზაზა!

- მაშინ, ფილოსოფოსობას თავი ვანებოტ, ფილოსოფოსობა მაინცდამაინც არ არის სულისა და გულის მალამო, - თქვა ზაზამ და ჭიქები შეავსო.

- ალექსანდრე, ამ ჭიქით ჩვენ გავვიმარჯოს. რა ვქნათ ისე თუ არ ვცხოვრობოტ ამქვეყნად, რომ კაცთან, ღმერთთან და საკუთარ თავთან მართლები ვიყოტ, ალბათ, ეს ჩვენი მოღვმის შესაძლებლობებს აღემატება და ამიტომეა ასე. დამიჯერე, ალექსანდრე, გულწრფელად მჯერა, რომ ღედამიწაზე ბოროტი ადამიანები არ იბადებიან. მდგომარეობა ქმნის ყოველგვარ სიმანჩინჯეს, ის უბიძგებს ადამიანს არაადამიანურობისაკენ, თორემ რა სჯობს სიკეთის კეთებას, სიკეთის კეთება ხომ სულის სილაღეა, ბიჭო! ლალი სული კი ღმერთთან მისაგზავნი საიმედო დესპანია.

- ძმაო ზაზა, არ იფიქრო, რომ არ გეთანხმებოდე, მაგრამ ადამიანი იმდენად არ უნდა გამხეცდეს, რომ სხვა ადამიანი გააუბედუროს.

ზაზამ ალექსანდრეს შეხედა, მერე თავი ჩაღუნა და რამდენიმე წუტს ასე იყო უხმოღ. შემდეგ, თითქოს მძინარეს ცივი

წყალი გადაასხესო, ისე შეკრთა, თავი მაღლა ასწია და მეგობარს უთხრა:

- ალესანდრე, ახლა უფლება მომეცი სურათები ავირჩიო.
- ინებე!

ზაზამ რამდენიმე სურათი გადმოალაგა ისე, რომ ზედ არც კი დაუხედავს. მორჩა თუ არა სურათების გადმოლაგებას კედელზე დაკიდებულ სურათებს შეავლო თვალი.

- როდის დახატე, ალექსანდრე, ეს სურათი? ეს ხომ მართლა შედეგია!

- რა საერთო აქვს მაგ სურათს შედეგთან? ერთი მომაკვდავი ხეა და მეტი არაფერი.

- ეს ხე არაა ალექსანდრე, აქ სხვა რამაა, გამოტყდი.

- მაინც რა დაინახე, არ იტყვი?

- ეს დღევანდელი საქართველოა. შენ გაინახე, ძმაო, ისე, როგორც მე ახლა შენმა სურათმა გამახარა. ეს ხე არ მოკვდება, არა! ამას სიკვდილი ვერ მოერევა. ეს ჭინკები, ეშმაკები ზედ შეეხოცებიან. ნახე რა ფესვები აქვს! ბებერს, ნახევრად ხმელ ტოტებზე კვირტები გამოსდის. ბედნიერი ხარ, რომ გჯერა სამშობლოს მომავლისა. მომყიდე, ალექსანდრე, ეს სურათი, რასაც მთხოვ გადამხდელი ვარ.

- ეგ სურათი არ იყიდება. ეგ სურათი შენთვის მიჩუქნია. მიჩუქნია იმიტომ, რომ ამ დღეში ხარ, მაინც ფიქრობ სამშობლოს მომავალზე. შენ მაინც იქ ხარ, ზაზა, სადაც უნდა იყო. თავს ვერ მოიტყუებ და გირჩევ ნურც ეცდები ამას.

- მართლა მიჩუქნი, ალექსანდრე?

- გჩუქნი. შენია, აილე!

X X X

- ზაზა, შენ ნასვამი ხარ?

- ნასვამი არა, მთვრალი ვარ, ჩემს სულთან პირისპირ დარჩენილი. იცოდნე დიანა, ადამიანი საკუთარ სულთან პირისპირ მხოლოდ სიმთვრალეში რჩება. ჰოდა, ჩემო საყვარელო, გენაცვალოს შენი ქმარი ზაზა, დამტოვე ცოტა ხანს ჩემს სულთან მართო. ახლა მე და ჩემი სული ერთნაირად

ვაზროვნებთ. ღვინით ჩემი ანგარიშმოყვარე გონება კუთხეში მიგკუჭუტეთ. იცოდე, დიანა, სალი გონება გულთან და სულთან არასდროს მეგობრობს. ის მხოლოდ თავისას გაიძახის და ახლა, როდესაც თავნება გონება კუთხეში მყავს მიკუჭუტული, გთხოვ შენც დამტოვო. ბოლიშს გიხდი.

- მაშ დავტოვო, არა? - იკითხა დიანამ, გაიღიმა და ოთახი დატოვა.

X X X

- აბა, ჩემო სულო, დღეს მე მსურს სრულიად მორჩილი ვიყო შენი და ვიცხოვრო მხოლოდ შენი კარნახით.

- არ მგონია შეძლო სურვილის შესრულება.

- რატომ ვერ შევძლებ.

- ნუ გავიწყდება, ადამიანო, რომ შენ ჩვეულებრივი მოკვდავი ორი სამყაროს ბინადარი ხარ სულიერისა და მატერიალურის. სულიერი სამყარო ღვთიურია, ყოველთვის ნაზია, ლამაზი და ჰაეროვანი. მატერიალური კი - პირიქით, მკაცრია, მძიმე და გაუტანელი. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვთავსდებით ქმნილებაში, რომელსაც ადამიანი ჰქვია. ასე რომ, ჩვენ ორივეს ერთნაირად გვეკუთვნის, მაგრამ ყველა სხვა არსებისაგან განსხვავებით ეკუთვნი შენს საკუთარ თავსაც, რაც განპირობებულია ღმერთისაგან ნაწყალობევი უნარით, რომელსაც აზროვნება ჰქვია. შენ, ადამიანს, ამ წყალობით მოგცა საშუალება, რომ გახდე ყველაფრისაგან დამოუკიდებელი, ნაწილობრივ მაინც, და აირჩიო შენი მრწამსი მეტნაკლებად. ასე რომ, რაკი ღმერთმა შენ, ადამიანს მოგცა განსაკუთრებული უნარი, ღმერთიც ელის შენგან რაღაც განსაკუთრებულს. მე მგონი უკვე ყველაფერი გითხარი, - თქვა სულმა და გაჩუმდა.

- ყველაფერს მივხვდი, დამიჯერე, სულო. იცოდე, მე ყველა და ყველაფერი მიყვარს. მართლა მიყვარს მე ჩემი შვილები მიყვარს, ალექსანდრე მიყვარს, აი, ის მგზავრიც მიყვარს, ახლა რომ მიდის გზაზე. ცა მიყვარს, დედამიწა მიყვარს, ხეც მიყვარს და ბალახიც. ზაზამ აივნის კარი გააღო და გარეთ გამოვიდა, პირველი გადაისახა და ჩუმი ხმით თქვა: ეს რა პატარა გული

ჰქონია ადამიანს, მარტო სიყვარულს თუ დაიტევსო.

ზაზამ სირბილით ჩაიარა სახლის კიბის საფეხურები. ეზოში გავიდა, მანქანაში ჩაჯდა და იმ სახლისაკენ გასწია, სადაც ოთხი წლის წინათ ჩანჩურა დაარქვეს.

ეზოში შესვლისთანავე თავის ნაცნობ ფანჯარას შეხედა. ფანჯარაზე ფარდა ეკიდა.

გაყიდა ან გააქირავა ლევანმა, ალბათ, ეს ბინა. ეჰ, რა არის ცხოვრება! რამდენი თვე ვიცხოვრე აქ და ფარდის ყიდვა ვერ შეგძელი ფანჯარისათვის. ამქვეყნად, მართლაც რომ, ყველაფერი იცვლება. თუმცა მე რომ მკითხოს კაცმა, კი არ იცვლება, თვითონ ადამიანი ცვლის ყველაფერს. ოთხი წლის წინათ ამ ფანჯრიდან ვიხედებოდი უფულო, ნერვებმოშლილი და მშვიერი. ახლა კი, ვინ არის ზაზა? ოფიციალური მილიონერი, დიდებით და პატივით მოსილი, - გაიფიქრა ზაზამ და ერთხელ კიდევ შეათვალიერა სახლის ფსადი. სადარბაზოს შესასვლელზე სურათი შენიშნა გაკეთებული.

- ვილაც გარდაცვლილა, - გაიფიქრა და სურათს დააკვირდა.

- ღმერთო ჩემო, ეს ხომ თემურია, ჩემი დიპლომანტი, მაგრამ მის სურათს აქ რა უნდა? ის არასოდეს მინახავს აქ.

ეზოში ბავშვები შემოვიდნენ. ზაზა მანქანიდან გადმოვიდა და თავისთან იხმო ისინი.

- გამარჯობა, ზაზა ძია. მიესალმა ათი-თორმეტი წლის ბიჭი.

- გაგიმარჯოს შეილო, მაგრამ მე რომ ვერ გიცანი.

- ნიკა ვარ, ზაზა ძია, აღარ გახსოვარ?

- როგორ არ მახსოვხარ, ნიკა, შენს თავს რა დამავიწყებს, შეილო, მაგრამ იმხელა ვაჟკაცი გაზრდილხარ, ვეღარ გიცანი. არ გეწყინოს შენი ჩანჩურა ძიასაგან, რომ ვერ გიცანი.

- შენ ჩანჩურა ძია არ ხარ.

- აბა, ვინ ვარ?

- მაგარი ძია ხარ შენ, მდიდარი და გავლენიანი.

- ვინ თქვა ეგ?

- ჩვენმა მეზობლებმა.

- ნიკა, იცოდე მე ისევ ის ზაზა ძია ვარ, როგორიც ვიყავი. ისე რომ იცოდე, ჩანჩურა არც მაშინ ვყოფილვარ.

- ვიცი, ზაზა ძია.

- ნიკა ეს ვინ გარდაიკვალა ჩვენს სადარბაზოში?

- თემური ძია გარდაიკვალა.

- ვინ თემური ძია. ასეთი ჩემს დროს აქ არ ცხოვრობდა! - ნუთუ მართლა ჩემი ლიპლომანტი თემურია! - გაიფიქრა ზაზამ.

- ამერიკაში იყო წასული, იქ დაავადდა, რომ დაბრუნდა ერთხანს იავადმყოფა და გარდაიკვალა.

- რომელ სართულზე ცხოვრობდა?

- შენი კარის მეზობელი იყო, თამრიკოს მეუღლე.

- აბა, ნიკა ნახვამდის. გარეთ შენი ღიღინა ღღობა არ შეიძლება, ხომ ხედავ როგორ ცრის და ქარიც უბერავს, - ურჩია ბავშვს და თვითონაც მანქანაში ჩაჯდა, ხელები საჭეზე დააწყო და ზედ შუბლი დაადო. ასე იყო კარგა ხანს. მერე თავი ასწია და ჩაილაპარაკა: - უბედური ბიჭი. ვინ იცის, იქნებ იქ, ამერიკაში როგორ უჭირდა და ჩვენ აქ მისი წამებით ნა-შოვნ ფულს მე და თამრიკო ვანიავებდით.

გაახსენდა სიცოცხლეზე შეყვარებული ლალი ჭაბუკი. ისიც გაახსენდა, როგორ გაანდო ზაზას შეყვარებული მყავს, თამრიკო ჰქვიაო. გაახსენდა თუ როგორ ოცნებობდა საკუთარ ჭერზე, როგორ გეგმავდა ოცდაორი წლის ახალგაზრდა მომავალს, როგორი ოპტიმისტი იყო.

ზაზამ თავი ასწია და ერთხელ კიდევ შეხედა თემურის სურათს და როგორც ცოცხალს ისე მიმართა:

- ეჰ! ჩემო თემურ, ნათელში იყავ, ისე, იცოდე მაინცღა- მაინც არც სიცოცხლეა დიდი განძი ყოველთვის, ასე რომ...- და აღარ დაამთავრა სათქმელი.

ალბათ, უჭირს ოჯახს, ამ საშინელ დროში ავადმყოფი როგორი შესანახია. მივალ თამრიკოსთან, მივუსამძიმრებ და დავებმარები კიდევ. ზაზა კიბეს აუყვავა.

კარი თამაზმა გააღო. ზაზამ ბავშვს მიუსამძიმრა და თამრიკო მოიკითხა.

- დედამ ბაზარში დაიწყო ვაჭრობა. წელს მეც ვაპირებ

სკოლის დატოვებას, დედას უნდა მივეხმარო, - უპასუხა თვალებში სევდაჩამდგარმა ბიჭმა.

ზაზა ერთხანს ჩაფიქრდა და ბიჭს ჰკითხა.

- როგორ სწავლობ, თამაზ?

- კარგად, მაგრამ მაინც მომიწევს სწავლისათვის თავის დანებება.

- ნუ გეშინია, შეილო!

- არაფრისაც არ მეშინია, კარგად ვიცი შეშინებული ბევრს ვერაფერს მივაღწევ. ისიც მესმის, რომ შრომისა და სწავლის გარეშე არაფერი გამოივა.

- ყოჩაღ თამაზ! შენ ბევრი რამ გისწავლია, კიდევ დაკაცებულხარ.

- გაჭირვებამ ასე იცის, ზაზა ძია!

X X X

დასვედიანებული ზაზა სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა საღარბაზოდან და მანქანაში ჩაჯდა.

- რა სიჩუმე იყო თამრიკოს სახლში? როგორ უნდა გაუძლოს აღმდინა ასეთ სიჩუმეს?! ალბათ, სიჩუმე და გაჭირვება თანამგზავრები არიან? რამდენი თამრიკოსავით გაჭირვებულია ამქვეყნად? რა ეშველება მათ.

- როგორ, შენ არ გიჭირს? - ჩაესმა ზაზას ხმა.

ზაზამ მიიხედ-მოიხედა, ახლო-მახლო არავინ ჩანდა, მაგრამ მაინც გასცა ხმას პასუხი.

- მიჭირს, როგორ არ მიჭირს, მაგრამ რაშია საშველი?

- საშველი? საშველი ღმერთთან სიახლოვეშია, - გასცა პასუხი ხმამ.

- მერე ღმერთს როგორ დავუახლოვდევ?

- მისკენ სავალი გზით იარე და მიხვალ ღმერთის ტაძართან, - იყო პასუხი.

- მერედა სადაა ღმერთის ტაძარი?

- ღმერთის ტაძარი ყველგანაა.

ზაზამ თავი წამოსწია და წინ გაიხედა, შორს მთის წვერზე ტაძარი მოჩანდა.

- რომელი გზით მივალ ტაძრამდე?
- აკი გითხარი ღმერთისკენ სავალი გზით იარე -მეთქი.
- ვივლი მაშინ ღმერთის გზით.
- შენ იცი, გზას მშვიდობისას გისურვებ, - დალოცა ხმამ.

X X X

ზაზამ მთელი სიჩქარით დაძრა მანქანა ტაძრისაკენ, გასცდა ქალაქს, გადაკვეთა ვრცელი მინდორი და აუყვავა მთაზე მიმავალ გზას. ტაძარი მთლად ახლოს ჩანს, მაგრამ გზა არ მთავრდება.

- ნეტავ რა ხდება, ტაძარი აქვია, მეც მთელი სიჩქარით მივდივარ, გზა კი არ ილუვა? - ფიქრობდა ზაზა, როდესაც ისევ ჩასძახა ხმამ:

- ადამიანო, მაგ მანქანით შენ ღმერთის ტაძართან ვერ მიხვალ, ვერა!

ზაზამ მანქანა გააჩერა და ფეხით გააგრძელა გზა. ტაძარი სულ ახლოა, მაგრამ ზაზა მაინც ვერ აღწევს მასთან.

- ნეტავ რა ხდება? - ისევ იკითხა ზაზამ.

- ადამიანო, მაგ ფენსაცმელებით ვერ მიხვალ ტაძრამდე, - ჩაესმა ისევ ნაცნობი ხმა.

ზაზას არც უკითხავს, რატომო, ისე გაიხანდა ფენსაცმელი და ფეხშიშველმა განაგრძო გზა, მაგრამ ტაძართან მაინც ვერ მივიდა.

- რა ვიღონო, - შეწუხდა იგი.

- რა უნდა იღონო და მთლად უნდა გაშიშველდე. სხვანაირად ტაძართან ვერ მიხვალ, - გამოეპასუხა ხმა.

- ეს ხომ სირცხვილია, ტაძარში შიშველი როგორ შევიდე და როგორ ვილოცო?! - გაბედა კითხვა ადამიანმა. ღიანაც არ გავიხდი, სხვა რომ ჩაცმული მიდის, ვითომ მე რა დავაშავე.

- დააშავე, როგორ არ დააშავე, - ჩამოსძახა ისევ ნაცნობმა ხმამ. ზაზას მეტი აღარაფერი უთქვამს, ხმის რჩევას დაემორჩილა და მთლად გაშიშველდა. თუმცა მაინც ჩაიბუზღუნა: ვითომ რა, მე სხვაზე ნაკლები სიკეთე გამიკეთებია?

- სიკეთე თუ გაგიკეთებია, არც ბოროტება გაგიკეთებია სხვაზე ნაკლები. გაიხსენე თემურის ოჯახთან შენი ურთიერთო-

ბა, გაიხსენე დომენტის თვალები, გაიხსენე შენი მიტოვებული მეუღლე, შენი თვალცრემლიანი შვილები და კიდევ შენგან ათასი მოტყუებული.

- ყველაფერი მართალია, მაგრამ ასე, დედიშობილა, სად უნდა წავიდე, სად! მრცხვენია!

- ნუ გრცხვენია, განგებამ დედიშობილა არ მოგავლინა ამქვეყნად?

- კარგი მაშინ.

ზაზა ტაძრის კარებთან შედგა, თითქოს რაღაც გაახსენდაო.

- შედი, შედი, ნუ გერიდება, ილოცე, ღმერთი ყველაფერს შეგინდობს, - შემოესმა ისევ ნაცნობი ხმა.

- ჯერ, თუ შეიძლება ჩემს სათქმელს ვიტყვი, - ითხოვა ზაზამ.

- თქვი, - იყო პასუხი.

ზაზა სოფლისკენ შებრუნდა და ზემოდან გადმოხედა. სოფელში ხალხი ჭიანჭველებივით ირეოდა. ყველას თავისი გზა ჰქონდა არჩეული და ჯიუტად მიიწევდა წინ.

- ხალხო! - შესძახა ხმამაღლა.

- რა გნებაეს? - ამოსძახეს სოფლიდან.

- ხალხო! გევედრებით, ისედაც ცოდვილი ადამიანი რომ აღიაროთ, ამისათვის ნუ აიძულებთ მას ღმერთი დაივიწყოს.

სოფლიდან სიცილ-ხარხარი შემოესმა პასუხად.

- არ გინდათ შეისმინოთ ჩემი შეგონება? მაშინ როგორც გნებავდეთ. მე მაინც შევალ ტაძარში! - თქვა ზაზამ და მოკრძალებით შეალო ტაძრის კარები.

გაჩიანის ეპოპეა

|

დიდხანს ვუცქირე საძინებლის კარის მინიდან შვილიშვილს. მერე თავი გადავაქნიე და სევდიანად ჩავილაპარაკე:

- შენ კი მოგიკვდა ბაბუ, - და კარს მოვცილდი.

- მაი, ერთი ლარი ხომ არ გექნება, რომ მომცე? - მთხოვა ბავშვის წასაყვანად მოსულმა შვილმა.

- ერთი ლარის ნაყინი მარტო შენ არ გეყოფა, ჩვენ, და-ნარჩენებმა?..

- რა მენაყინება, წყლის გადასახადზე მომადგნენ უკვე მერამდენედ.

- მერე და ლარი ყოფნის მაგ საქმეს, შვილო?

- ლარსაც მე დავუმატებ, - თქვა და ვენახის ჭიგოსავით დაესო ჩემს წინ.

ჯიბე მოვიქექე, უკანასკნელი ხუთლარიანი მოვიძიე და გა-ვუწოდე.

- გმადლობთ, მამა! - მითხრა გახარებულმა და კარი გაიხურა.

მე დავბრუნდი საძინებელთან. პატარას გვერდი ეცვალა.

- შენ მოგიკვდა, შვილო, ბაბუა! როგორ გინდა შენც რომ გქონდეს ველოსიპედი, მაგრამ, ეს ტიალი, ორმოცდაათი ლარი ვერ იქნა და ვერ შევაგროვე. ველოსიპედი კი არა, პურის ფულზედაც ხელი-ხელზე გამოვდივართ. დაიქცეს ჩვენი დამ-აქცევარი, რა მდგომარეობამდე მივიყვანეს ამ უღმერთოებმა ევროპისა და აზიის გზაგასაყართან მდებარე ქვეყანა და ხალხი! ამათი სახსენებელი კი გაწყდა, ამათი!

ფიქრი სახლში შემობრუნებულმა შვილმა შემაწყვეტინა:

- აიღე! - მითხრა ღიმილნარევი სიმორცხვით, ხურდა გა-მომიწოდა და თან დაამატა:

- მამა, აქ მხოლოდ სამი ლარია.

- აკი ერთი ლარი მჭირდებაო?

- ერთი ლარი დღეს მჭირდებოდა, ლარით პური ხომ უნდა ვიყიდო ხვალ დილით?

- ზეგ?..
- ზეგისთვის ღმერთი მოგვცემს.
- შენ თუ მხოლოდ ღმერთის იმედზე იქნები და ხელს არ გაანძრევ...

- კმარა, მამა, შენც ხომ კარგად იცი, უფულოდ და უკაცოდ სამუშაოს ვერ ვიშოვნო?

- თუკი მაგდენი იცი, ადექი და იშოვე ერთი, ან მეორე.
- როგორ?

შვილის კითხვაზე ვერც გრძელი და ვერც მოკლე პასუხი ვერ მოვიძიე, ამიტომ იძულებული გავხდი, გაფრთხილებულიყავი. ვდუმდი და არ ვიცოდი გულის გამაწვრილებელი სიჩუმე როგორ დამერღვია.

- მამა!

- ბრძანე, შვილო!

- მამა, იცოდე ყველაფერი კარგად იქნება. აუცილებლად გამოჩნდება საშველი!

- გამოჩნდება, აბა როგორ? - ვთქვი და სათქმელი გავწყვიტე, მინდოდა მეკითხა, მაგრამ როდის?

- აღამიანო, ხომ არ დაგავიწყდა სამორიგეოდ რომ ხარ წასასვლელო, - შემოგვეჭრა საუბარში ჩემი მეუღლე.

- არა, არ დამვიწყებია, მანანა, მაგრამ ფეხს ვითრევ, იქნებ პატარამ გაიღვიძოს.

- მაგას ისე მამაპაპურად სძინავს, არა მგონია ჩქარა გაიღვიძოს.

- ჰო, ნუ ატენე ალიაქოთი, წავალ, აბა, რას ვიზამ, შექალო?

- ჰოდა წადი, იქიდანაც რომ გამოგაბუნძულონ, ის ორმოცდაათი ლარიც დაგვეკარგება და მერე გვექნება ოჯახში თუ გვექნება ცოდვა-მადლის განკითხვა!

- შენ გულის ნუ გაიტენ! ჯერ მთლად კი არ დაგბერებულვარ, აბა, მიყურე რა მკვირცხლად წამოვხტე და გავწიო სადარაჯოზე, - მკვირცხლად წამოხტომა ვცადე, ვცადე და წამოვხტი კიდეც. ცოლმა და შვილმა ერთმანეთს გადახედეს და გაიღიმეს.

სამსახურში მისულს, როგორც ყოველთვის, შენობის შესასვლელთან, კოლონებს შორის, ერთგული გუმბავით, მღუმარედ მღვარი არტუმა დამხვდა.

- პრივეტ, არტუშ!
- გაგიმარჯოს, „ბრატ“!
- მე თუ შენი „ბრატი“ ვარ, მაშინ ისინი ვინლა არიან?
- ვინ?
- ვინ და ეჩმიაძინთან რომ დგანან.
- ისინიც ჩვენები არიან.
- ჩვენები კი არა შენები.
- ვახ, ტო, შენ ისევე ძველებურად ქართველობ, მუხრანჯან?
- მე კი, მაგრამ შენ უკვე დროა მტკვარში გადაეშვა, არტუშ!
- მტკვარში რა მინდა, დავიხრჩობი.
- მერე რა, თუ დავიხრჩობი, ერთი სომეხით ნაკლები ეყოლება საქართველოს. ისე, დალაშქრე დღეს მშობლიური საქართველოს ტრასები?
- დავლაშქრე და მერე როგორ!..
- ჩვენში დარჩეს და ცოტა მაინც არ მოგენატრა შენი სამშობლოს ტრასები?
- ნეტავ რად გიყვარს ასეთი ხუმრობა? შენც ხომ კარგად იცი, ჩემი სამშობლო აქ არის და რომ მოგკვდები. აქვე უნდა დავიმარხო.
- მერე დროზე ჰქენი ეგ საქმე და დამარხვა ჩემზე იყოს! - ჩაგვერთო საუბარში პროკურორის მიძღვლილი ზაქარია.
- რა მჟაფე ენა გაქვს, ზაქრო!
- მჟაფე რა, კიტრის მწნილია? მწარეო - ასე გეტქვა, არტუშ!
- ეგ რა გამახსენე, არტუშ, იმერელ კაცს? - ჩავერთე პაექრობაში.
- მეტი რა იცით იმერლებმა. პრასი რა სანატრელია?
- აბა, ჰაესს რა გაეგება იმერული პურ-მარილის?
- გამეგება.

- მაინც რა?
- რა და იმერლების პურ-მარილია...
- მიდი, აბა, ჩამოჰყევი!
- რა და... პრასი, ჭლაკვი, ლობიო. ასკილის აყვავებისას, როცა ჭლაკვი და ლობიო შემოგვლევათ, საჭმელად მხოლოდ პრასი მყავე, პრასი მწარე და პრასი დამძარული გრჩებათ.
- იმერულ ხაჭაპურზე რას იტყვი, არტუშ?
- არაფერს, ვიცი მოწყენილი გაქვს.
- რად გადაეღობე, არტუშ, ჩვენს „იმედს“? შემოუშვი კაცი შენობაში, - ჩაგვერთო საუბარში ისევე პროკურორის მძღოლი ზაქარია.
- შემოვიდეს მერე, მე ვუშლი? თვითონ გაიღესა, ისედაც გაღესილი იმერული ენა. ა, ბატონო, მობრძანდი, - თქვა არტიომმა და ჩამოშვებულ-გაპარტყული ხელებით გზა მიჩვენა.
- ჰო, ასე, შე კაცი! კაცს ორი საათია კაცი ელოდება და შენ ამას აქ აყოფნებ.
- ვინ კაცი მელოდება, ზაქრო?
- შენი ტოლია, შენსავით ჭადარა.
- მაღადავებ? რაც ფული და თანამედრობა დავკარგე, ორი საათი კი არა ორ წუთსაც არავინ დამლოდება.
- არ გეხუმრება, მართლა გელოდება, - დაუდასტურა გივიმ.
- მაშ, მივალ და ვნახავ.
- შევალე თუ არა ოთახის კარი, ჩემი „ტრუსიკის“ მეგობარი ფარნავაზი ფეხზე წამოხტა და კარებშივე შემომეგება.
- ფარნავაზ, ბიჭო, სიზმარში ხომ არა ვარ! აქ როგორ მომაგენი? - შევძახე გახარებულმა.
- ხომ გაგიგონია, მუხრან „ეძიებდე და ჰპოვებდეო!“. მეც მოგძებნე და გიპოვე.
- მაშ მეძებე და მიპოვე კიდეც, შე გლახა, შენა!
- გიპოვე, მუხრან. ხომ იცი, ძმაო, გაჭირვებულს ასი ყური, ასი თვალი და დიდი გუმანი უნდა ჰქონდეს.
- ახლა მორჩი წუწუნს, ამდენი ხნის უნახავი მეგობრები შეგვხვდით ერთმანეთს და მოდი გაჭირვებაზე საუბრით ნუ და-

ვიწყებთ. შენი ჭირიძე, ერთი ეს მითხარი, ხომ გყავს ჯანმრთელად ჯალაბი სოფელში?

- ჯანმრთელად კი არიან, მაგრამ...

- მაგრამ, ახლა ყველას უჭირს და მათ შორის ჩვენც, სადაც სხვა, იქაც ჩვენ, ასე რომ თუ სხვა არ იკლავს თავს, ნურც ჩვენ მოვიკლავთ, - მივაყარე სხაპასხუბით ბავშვობის მეგობარს.

- თავის მოკვლა რომ მდომოდა, აქ არ ჩამოვიდოდი, სოფელში, სუფთა ჰაერზე მოვიკლავდი თავს. არ ვარ მე ის კაცი, ვინც თავს იკლავს. სამუშაოს საშოვნელად ჩამოველ, ძმაო! - ჩამოარაკრაკა ფარნავაზმა.

- მერედა, ასე ადვილია აქ სამუშაოს შოვნა?

- ვიცი ადვილი არ არის, მაგრამ, ჩემი აზრით, შეუძლებელიც არაა.

- ფარ, ახლა შეილს დავურეკავ და ჩამოვიყვან, ამალამ ის იმორიგეებს ჩემს ნაცვლად. ჩვენ კი მთელი ღამე ვიჭუჭუკოთ ჩენთან, სახლში. იცი როგორ მენატრება ჩვენი სოფელი და თანასოფლელები? ველარ ვახერხებ ჩამოსვლას, ბიჭო! - შევცვალე საუბრის თემა. მოულოდნელად კარზე კაკუნი გაისმა. მეგობართან საუბარი შევწყვიტე და კარი გავაღე. კართან ჩვენი საქმეთა მმართველი იდგა. მითხრა, უფროსი გიბარებსო. სტუმარს ბოდიში მოგუხადე და არასასიამოვნო ამბის მოლოდინში კიბეს ავუყევი.

მისაღებში ჩემი გამოჩენისთანავე მდივანი წამოდგა და ისე, რომ არც კი შემოუხედავს ჩემთვის, უფროსის კაბინეტში შევიდა. მე კი, ლენინის მაგზოლოჟუმის წინ მუნჯადქცეული ჯარისკაცივით, დამტოვა შესასვლელ კართან. ლოდინი არ დამჭირვებია. ჩემდა საბედნიეროდ, ის უფროსთან დიდხანს არ დარჩენილა. გამოვიდა თუ არა, მითხრა, - შებრძანდიო.

მორცხვად შევალე კაბინეტის კარი. შევედი თუ არა, უხერხულობა ვიგრძენი, ოცი მეტრის სიგრძე კაბინეტის ბოლოში, უფროსი ტყავის ფუმფულა სავარძელში ჩაფლობილი რალაცას ჩაჰკირკიტებდა. ძლივს გავბედე მისაღმება. მას არც გაგიმარჯოსო უთქვამს და არც თავი აუწყვია, ისე დაიწყო:

- ბატონო პეტრე, თქვენ ხვალღან თავისუფალი ბრძან-

დებით.

- რატომ, ბატონო, დავაშავე რამე თუ?!
- მე არაფერ შუაში ვარ, ზევიდანაა მითითება, სამოცს მიტანებული თანამშრომლები უნდა გაათავისუფლოთო...
- მერე?.. - კითხვა ძლივს გავუბედვე უფროსს, დამბლადაცე-
მულივით აღარ დამემორჩილა ენა.
- მე არაფერი შემიძლია, ბატონო პეტრე!
- მე მუხრანი მქვია და არა პეტრე! .
- კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო მუხრან! - მითხრა უფროსმა და ზეზე წამოდგა, ჩემსკენ არც კი გამოუხედავს, ისე შევიდა მოსასვენებელ ოთახში.
- არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი გაუნძრევლად კაბინეტში. ბოლოს, როგორც იქნა, გონს მოფეგე და გამოფედი.
- რაო, რა მინდაო უფროსმა? ხომ არაფერი გამოგატანა?
- გამეხუმრა დაბრუნებულს ფარნავაზი.
- გამომატანა, ჩემო ფარნავაზ, როგორ არ გამომატანა.
- მაინც რა გამოგატანა? თუ საიღუმლო არაა, თქვი, შე
კაცო!
- სევდა, დარდი, უიმედობა და ათასი ღოზანა გამომატანა.
- შენ როგორ ლაპარაკობ, მუხრან! ცუდი ხომ არაფერია, ბიჭო?!
- მეტი რა უნდა იყოს, სამსახურიდან დამითხოვეს. დავკარგე ორმოცდაათი ლარი და ესაა.
- ვერ მოგსვლია კარგი საქმე, ძმაო! - შეწუხდა ფარნავაზი.
- კარგი კი არა, ამ წუთას ნამდვილად არ ვიცი, რა ვქნა.
- სჯობს არაფერზე იფიქრო, დამიჯერე, საშველი აუცილ-
ბლად გამოჩნდება, მუხრან!
- შენ ასე ფიქრობ?
- კი არ ვფიქრობ, ვიცი.
- ღმერთმა გისმინოს, ძმაო! მე კი მგონია ჩვენი ასაკის ხალხი აღარავის ვჭირდებით.
- როგორ თუ არავის! ჩვენს ოჯახსა და ჩვენს თავს ხომ ვჭირდებით.
- ვჭირდებით.

- რადგან ვჭირდებით, არც ჩვენ გვაქვს უფლება, პასუხ-ისმგებლობას თავი ავარიდოთ და ცხვირი ჩამოვუშვათ.

- შენ ყოჩალი ხარ, ფარნავაზ!

- რა უფლება მაქვს ყოჩალი არ ვიყო?! თუ ბიჭი ხარ და ნუ იქნები ყოჩალი, როცა პრეზიდენტიდან დაწყებული ყველა, ყოველ წამს ჩაგჩიჩინებს, შენ უკვე საზოგადოებისათვის ზედ-მეტი ბარგი ხარო. ამ დროს სხვასაც და შენ თავსაც უნდა დაუმტკიცო, რომ ისინი ცდებიან.

- შეგვწევს კი მაგის ძალა? ჩვენი მატარებელი უკვე ჩაგ-ლილია, ძამიკო!

- სცდები, მუხრან! მართალია ყოველი ცოცხალი ადამი-ანი მგზავრია საკუთარი ცხოვრების მატარებლისა, რომელიც შეუჩერებლად მიდის, ვიდრე მისი მგზავრი ერთხელ და სა-მარადჯამოდ არ დახუჭავს თვალს, მაგრამ ჩვენი ცხოვრების მატარებლის მგზავრებს ჯერ თვალები არ დაუხუჭავთ და ისიც კარგად ვიცი, ძმაო, ხვალ ჩვენი მატარებელი სად მიგვიყვანს!

- სად მიგვიყვანს?

- სად მიგვიყვანს და ელიავას ბაზობასთან რომ ბირჟაა, იქ.

- და მერე, იქ რაა?

- ეგ არც მე ვიცი, მაგრამ ხვალ ჩვენს მატარებელს რომ სხვა მარშრუტი აღარ დარჩა, ის კარგად ვიცი. მოდი მუხრან, წუწუნს თავი დავანებოთ და ვახშამზე ვიფიქროთ, თუ არა დაუარა კუჭმა დავლური.

- მართალს ბრძანებ, ფარნავაზ! შენ ერთი წუთი აქ დამე-ლოდე, შეილს დავუბრუნებ, ახლავე აქ გაჩნდება, ჩვენ კი გა-დავხვითოთ ხელი ერთმანეთს და გავუყვეთ ქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებს სახლისკენ.

- მუხრან, ამდამ აქ რომ დავრჩე შეიძლება?

- რას ჰქვია აქ დარჩე? მე ოჯახი არა მაქვს, თუ რაშია საქმე? შენ თქვი გაჭირვებას ასი თვალი და ასი ყური აქვსო, მაგრამ არ გითქვამს საშველი არ არისო.

- მუხრან, შენი ჭირიმე, თუ შეიძლება დავრჩეთ ამდამ აქ და ერთად გავათიოთ ღამე.

- მაშინ ვახშამს მოვატანინებ ბიჭს.

- არავის შეწუხება არაა საჭირო, ფული მაქვს, გუშინ კორბოულის ბაზარზე ჩემმა ნათელამ ვერძი გაყიდა კარგ ფასად,
- ჩემმა მეგობარმა ჯიბიდან ფული ამოიღო.

- როგორ შეიძლება, ეს სადაური წესია, სტუმარი მასპინძლობდეს? ხომ არ გავიწყდება ქართველო, ქართველი რომ ვარ?

- ნეტავ ქართველობა და სხვა მრავალი მაგის მსგავსი ჩვენს მთავრობას არ დავიწყებოდა. შენ, უბრალო კაცს თუ დაგავიწყდება, ამით ქვეყანა არ დაიქცევა.

- მუხრან! მთავრობის განკითხვას თავი ანებე და ის მითხარი ახლ-მანლო თუა მალაზია?

- ეს როგორ, ძმაო?!

- როგორ და ასე, შენ მხოლოდ თითით მანიშნე საით წავიდე.

- შენ სად უნდა წახვიდე? მე წავალ.

- მაშინ ფული გამომართვი.

- ფული მაქვს.

- მაშ მტყუანს?..

- რა მტყუანს? ამ ქალაქში დაკარგული კაცი კი არა ვარ!

- ფული გამომართვი, მუხრან!

- არა, არ მჭირდება, მაქვს-მეთქი!

- გამომართვი, დღეს ნისიად აღებული, ხვალ შენი გადასახდელი გახდება.

- გადავიხდი.

- შენ ჩემსავით გლეხი ხომ არ გგონია შენი თავი, ხელფასზე ხარ დამოკიდებული.

- შენ რა, გლეხი რომ ხარ, არ გიჭირს? ციდან მოგდის?..

- რა თქმა უნდა, მიჭირს, მაგრამ მიწაზე ვდგავარ და არ ვარ შენსავით ჰაერში დამოკიდებული. მიწაზე დგომა ცოტას არ ნიშნავს, ძამია.

- მიწა დედაა ჩვენიო, - ჩავილილინე ხმადაბლა.

- მიწა რომ ჩვენი დედაა, ეგ აღმოჩენა შენ არ გეკუთვნის, დიდი ხნის წინათ აღმოაჩინეს ჩვენმა წინაპრებმა და კიდევ დაარქვეს დედამიწა. მუხრან, ბოლოსდაბოლოს მეტყვი თუ არა

სადაა მალაზია?

- აქვეა, ხელმარჯვნივ, გზის მოპირდაპირე მხარეს.
- ასე, შე კაცო, აქამდე გეთქვა, რას დამტანჯე კაცი!

|||

ნაბახუსევი ფარნავაზი დილით ძლივს წამოდგა, საათს დახედა, ერთი კი შესძახა დამგვიანებიაო, მერე ხელჩანთას ხელი დაავლო, გარეთ გავარდა და იქიდან მომძახა: მუხრან, დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად ჩამოდი ელიავაზეო. მეც წამოვდექი, ჩემი ბარგი-ბარხანა შევაგროვე, ფუთა შევკარი და დამლაგებლის მოსვლას დაველოდე. მაშინ, სიცოცხლეში პირველად, დამეუფლა გრძნობა უძწეობისა და არასრულფასოვნებისა საკუთარი თავის მიმართ.

- რა ვქნა ახლა? ვინ ვარ მე, საერთოდ?! შევძლებ კი თავის დახსნას ამ გასაჭირიდან? ვის ვჭირდები? ან თუ ვჭირდები, გამოვადგები ვინმეს კიდევ? - ეს და სხვა ათასი კითხვა ირეოდა ჩემს ტვინში. თითქოს ერთბაშად დავბერდი და დავძაბუნდი. შემკრთალ-შეშინებული, კედელზე ჩამოკიდებულ პატარა სარკესთან მივედი, შიგ ჩავიხედე. სარკიდან მიცქერდა ჭალარა, მაგრამ არა ძაბუნდი მოხუცი, რომლის თვალებიდან შიში და სევდა ერთად მოსჩანდა.

- მართალია, მოხუცი ხარ, მაგრამ არა ძაბუნდი. იქნებ კი შეძლო რაღაც. ნეტავ რას ჩამოგიყრია ყურები და ჩამოგიშვია ცხვირი. ხომ არ გავიწყდება, ერთ ღროს ფალავნებს როგორ გააგორებდი-ხოლმე ხალიჩაზე! - შემოფუძახე ჩემს ანარეკლს და სიმღერა წამოვიწყე. ვმღეროდი მთელი გატაცებით და ხმამალა, სიმღერით მინდოდა ფიქრიდან თავის დახსნა.

- მუხრან, გეტყობა, რაღაც კარგი ამბავი შეიტყე. ასე გულისანად მომღერალს პირველად გხედავ, - მკითხა ახლადშემოსულმა დამლაგებელმა.

- შევიტყე ჰო, ახალი ამბავი შევიტყე.

- თქვი მერე, შე კაი ადამიანო, მეც გამამხიარულო, დავიშავდებო რამე თუ?

- სამსახურიდან გამაბუნძულეს, ქალბატონო მაყვალა.

ბოდის მოხდის გარეშე გამაბუნძულებს.

- რას ამბობ, მუხრან, ხუმრობ?
- არ ვხუმრობ.
- მერე და რა... - გაწყვიტა სათქმელი დამლაგებელმა.
- რა მამლერებს, არა? რომ არ ვიმლერო, მაშინ უნდა ვიტყვო, ტირილს მაინც სიმლერა მირჩვენია, ჰოდა, მეც ვმლერი.
- რა გეშველება, მუხრან?
- როგორ ფიქრობ, ქალბატონო, აქამდე ნაშველი ვიყავი?
- არაფერს ხომ სჯობდა ორმოცდაათი ლარი!
- ეგ ერთი შეხედვით, თორემ ხომ გაგიგონია „მომაკვდავს მკვდარი სჯობსო“. ჭკვიანი კაცის ნათქვამია ეს - ვუთხარი დამლაგებელს, მერე ჩემს ფუტას დავწვდი და მხარზე მოვიგდე.
- კარგად ბრძანდებოდე, ქალბატონო მაყვალა.
- ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მუხრან!
- ეჰ, ჩემო დაო, ან იმ ღმერთმა რა ჰქნას, რამდენ ერთს უნდა მოუმართოს ხელი, როცა ჩვენ თვითონ არ ვზოგავთ და არ გვებრალება ერთმანეთი.
- იმედი ღმერთისა დიდი ძალაა, მუხრან! ადამიანი მაშინ კარგავს საკუთარ თავს, როცა ამ ძალისა აღარ სწამს. ნუ დაკარგავ ღმერთის იმედს!
- ნახვამდის, მაყვალა!
- ნახვამდის, მუხრან!

I V

- ისევ სარეცხი, მუხრან? რა ხდება, ადამიანო, გოჭს ხომ არ იწვენ ლოგინში ღამლამობით? ამდენი სარეცხი რომ მომყარე, „ღარია“ მაინც გამოგეყოლებინა, - მისაყვედურა მეუღლემ.
- გამოვყავლებდი და დამეხატებოდა ტორაბელო ბეჭებზე.
- დღეს რაღაც კარგ გუნებაზე ჩანხარ, რაშია საქმე? თქვი და გამახარე.
- ჰოდა გაიხარე, დღეიდან უენი საყვარელი ქმარი ყოველ ღამე გვერდით გეყოლება. თაფლობის თვე დაგვიბრუნდა, ჩემო მანანა, თაფლობის თვე, ამ სიბერეში.

- სამსახურიდან გამოვიშვეს, მუხრან?!
- გამომიშვეს.
- მერე?!

- რამ შეგაშინა, ადამიანო, სამსახურიდან გამომიშვეს, ეშაფოტზე კი არ გავუძმწესებთ ვინმეს, ცოტას დავისვენებ და მერე გამოჩნდება რამე.

- გამოჩნდება, აბა, რა იქნება, შენ არ ინერვიულო, მუხრან!
- მითხრა მეუღლემ და ფერდაკარგული მეზობელ ოთახში გავიდა.

კარგა ხანს ველოდე მის დაბრუნებას, მაგრამ ის არ ჩანდა. მივხვდი ჩემი სამუშაოს დაკარგვა ძალიან განიცადა და ამიტომ განმარტოება არჩია. გადავწყვიტე მოთმინებით დავლოდებოდი მის დაბრუნებას და სკამზე ჩამოვჯექი. დრო გადიოდა, ის კი არ ჩანდა. მივხვდი ასეთ მდგომარეობაში მისი დატოვება მართო აღარ შეიძლებოდა. გადავწყვიტე, თვითონ შევსულიყავი მასთან. ის საწოლზე ჩამომჯდარი და ჩაფიქრებული დამხვდა.

- რა მოგივიდა, მანანა? ორმოცდაათლარიანი სამსახური დაგკარგე, შე ქალო! რა იმდენი ეს არის?

- მუხრან, იქნებ ორმოცდაათი ლარი ზოგისათვის, მართლაც, არაფერია, მაგრამ ჩვენისთანებისათვის ძალიან დიდი ფულია. ასე რომ მცნება დიდი და პატარა ფული მეტად პირობითია.

- კარგი, რაც მოხდა, მოხდა, დარდით ვეღარაფერს ვუშველით. ახლა სჯობს, ჩემი სამუშაო ტანსაცმელი მოიყვანო წესრიგში. ხვალ დილით ამოვიდებ ილიაში და გავწევ თბილისში ელიავას შრომის ბირჟაზე, ალბათ, ვიშოვი რამეს. ხალხი რომ ვერაფერს მოულობდეს, იქ არ დადგებოდა. მართლა, სულ დამავიწყდა, წუხელ იცი ვინ მყავდა სამსახურში სტუმრად?

- ვინ გყავდა?

- ფარნავაზი, ჩემი თანაკლასელი. ოცი წლის წინათ, ოცი წლის იუბილე რომ გადაიხადა ჩვენმა კლასმა, მაშინ რომ გავაცანი, გახსოვს?

- არ მახსენდება.

- როგორ არ გახსენდება? ბევრს რომ ლაპარაკობდა.
- იმერლები ყველა ბევრს ლაპარაკობთ, აბა, რომელი ერთი უნდა დამხსომებოდა?!
- მართალი ბრძანდებით, მაგრამ ის მაინც განსაკუთრებული იყო, არ შეიძლება რომ არ გახსოვდეს.
- მახსოვს, როგორ არ მახსოვს.
- მატყუებ?!
- გატყუებ, აბა რას ვწვრები. იმერეთში ადამიანი ბევრს რომ ლაპარაკობს იმით დაინსომო, პრაქტიკულად, შეუძლებელია. რომ გეთქვა - გალიფე და აზიაკები ეცვაო, მაშინ სხვა იქნებოდა. და კიდევ, შე კაცო, თანაკლასელი გესტუმრა და ღამე სამსახურში როგორ გაათევიან? რას იტყვის სოფელში რომ დაბრუნდება?
- ეჰ, ნეტავ შენსავით ტრადიციების დამცველი ჩვენი მთავრობა იყოს!
- ჰო, იცი რა მითხრა ფარნავაზმა? - გავაგრძელე საუბარი.
- რა გითხრა?
- სამუშაოს რომ ვიშოვი, შენც გვერდით დაგიყენებო. აუცილებლად რომ იშოვის, ვიცი, მოხერხებული კაცია, მე კი არ მგავს. გჯეროდეს, შიმშილით არ დავიხოცებით - ვუთხარი მეუღლეს, მერე დავიხარე და დანაოჭებულ შუბლზე ვაკოცე. მან შემომხედა და მითხრა - ღმერთი გვარავდესო, მუხრან!

V

ფეხით გავუყევი გზას სააკაძის მოედნიდან ელიავას ბაზრობისაკენ.

შევდექი თუ არა დიდუბე-საბურთალოს ხიდზე და დავინახე მის ბოლოში მდგარი ათასობით ადამიანი, მაშინვე დაგვარგე სამუშაოს შოვნის იმედი და შიშმა ამიტანა.

- ნეტავ როგორ უნდა მოვძებნო ფარნავაზი ამ მილეთ ხალხში? - ვეკითხებოდი საკუთარ თავს და თვალებს აქეთ-იქით ვაყვებდი.

- მუხრანს გაუმარჯოს! მუხრანს! - შემომესმა გაზონებიდან.
- ბიჭო, ნოღარა, შენც აქ ხარ?

- აქ ვარ, მუხრან, მე დიდი ხანია აქ ვარ, მაგრამ ერთი ეს მითხარი, შენ რამ მოგიყვანა აქ?

- ჩვენს თანაკლასელ ფარნავაზს დავეძებ.

- თუ დაეძებ, იპოვი კიდევ. გუშინ მოსვლისთანავე იშოვა სამუშაო, ბედიანი კაცია.

- მერედა როგორ ვიპოვი?

- ტარიელს დაუტოვა მისამართი შენთვის გადმოსაცემად.

- ტარიელი როგორ ვიპოვო ამ მიღეთ ხალხში?

- ვიპოვით, ვიცი სადაცაა შეყუჟული, - თქვა და წინ გა-
მიძღვა თანაკლასელი.

ტარიელს და კიდევ ორ სხვა ჩემს თანაკლასელს ცეცხლი დაენთოთ და ეფიციებოდნენ.

- ბიჭებო, ბარემ ჩვენი მასწავლებელი ანგელინაც მოგვეწვია აქ და ჩაგვიტარებდა გაკვეთილს, - გაგეხუმრე თანაკლასელებს.

ერთმანეთის მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ ტარიელმა ფარნავაზის წერილი გადმომცა, სადაც ის იტყობინებოდა, რომ იშოვა სამუშაო, მინიმუმ ერთი კვირისა და თავისთან მიხმობდა. გახარებულმა წერილში მითითებულ მისამართზე გავეწიე. ფარნავაზი თბრილში დაძვდა. თუმცა საკმაოდ გრილოდა, მაგრამ ოფლი მაინც ღვარღვარად ჩამოსდიოდა სახეზე.

- დილა მშვიდობისა, ფარნავაზ!

- ღმერთმა გაგიმარჯოს, მუხრან! მაგრამ, რომ იცოდე, გამარჯვებული და დამშვიდებული მაშინ ვიქნებით, როცა ას-ას ლარს ჩავიდებთ ჯიბეში.

- მაშ, ჩამოგხტე თბრილში, არა?

- უნდა ჩამოხტე, აბა როგორ?

- როგორ?

- კვიცივით უნდა ჩამოხტე, იქნება მოვეწონოთ ჩვენს დამქირავებელს. მდიდარი კაცია, ხშირად იქნება საჩვენო საქმე.

ტანსაცმელი გამოვიცვალე და თბრილში ვისკუბე. ჩავხტი თუ არა, ფარნავაზმა წერაქვი მომაწოდა. თან გამეხუმრა: „ჯიჯვო“, ხელი მოკიდე, კუნთულატურას გაგივარჯიშებსო. მთელი დღე ხალისიანად ვმუშაობდით, დალლა არ გვიგვრძენია და შრომის შედეგიც სოლიდური იყო. მეოთხე დღეს საღამოს,

შვიდი დღის საქმეს ოთხ დღეში მოვრჩით. გამომშვიდობებისას დამქირავებელმა შეგვაქო, - ეს რა ყოჩაღი მოხუცები ყოფილხართო. სიტყვა მოხუცის ხსენებამ გული გადამისერა და ფარნავაზს შეგხედე. მასაც სახეზე წყენა ეტყობოდა.

სალამოსათვის ფარნავაზი ოჯახში მივიპატიჟე. იუარა, არ მცალია, ხვალ აღრიანად ისევ ბირჟაზე უნდა დავდგე, შენს ჩამოსვლამდე იქნებ კიდევაც გამოგკრა ხელი რაიმე სამუშაოსო, თანაც ისიც მითხრა, ვაგონში ძილს ისე შევეჩვიე, რომ თავი საბან-ბუმბულში მგონიაო.

სალამოს გახარებული დაბვრუნდი შინ. მეუღლეს არ სჯეროდა, რომ მე მთელი ორი თვის ხელფასისოდენა ფული ვიშოვე ოთხ დღეში. ყოველ წუთს ფარნავაზსა და ჩემს უფროსს ლოცავდა. სანთლებიც კი ანათა. მალაზიიდან ორი ბოთლი ღვინო ამოვატანინე ჩემს პატარას, მერე სუფრას შემოგუსხედით მთელი ოჯახი და გვიანობამდე ვლალობდით.

ღამე მოუსვენრად მეძინა, გათენება მეჩქარებოდა, რათა ელიავაზე წავსულიყავი და სამუშაო მეძებნა. ინათლა თუ არა, ცოლ-შვილს გამოგემშვიდობე და გარეთ გამოვედი. ისეთი კარგი განწყობა მქონდა, რომ ლამის სიმღერაც კი შემოგძახე რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალმა.

ბირჟაზე მისულს ისევ ერთად თავშეყრილი ჩემი თანაკლასელები დამხვდნენ.

- რად დაიგვიანე? - მისაყვედურა კოწიამ.
- თუ დაიგვიანა, ბევრი ვერაფერი მოიგო. აქ რომ ყოფილიყო ერთ ბოთლ ლუდს ეგეც გამოჰკარავდა ხელს, - წააშველა სიტყვა გვიამ კოწიას.
- როგორ ხართ, ბიჭებო, საქმე არაფერი გამოგიჩნდათ?
- საქმე ისევ ფარნავაზმა იშოვა, მაინც რა მოეწონა ამ კვაზიმოდოსი იმ კეთილშობილ გვამს?
- სხივი მაქვს, სხივი, შენსავით ღონდრესავით კი არ გამოვიყურები, ამოლტილო და უნიათო ბიჭიკია.
- შენ გაქვს სხივი და მე არა მაქვს, ფარნაოზა? შე ლუმე-ლიდან გადმოვარდნილო მუგუზალო, შენა!
- ფითქინა თუ იყავი, იმიტომ არ ჩავავლო ხელი და არ

წავიყვანა იმ კაცმა სამუშაოდ!

- არ წამიყვანა?... იმიტომ არ წამიყვანა, რომ ინტელიგენტს ვგავარ და ვერ მაკადრა, მანქანა დამიტვირთეო. აბა, შენ კი არ გგავარ, შე გაჩეჩილო, შენა!

- წავიდეთ, მუხრან, მოვიდა ჩვენი კლიენტი. შენ კი ინტელიგენტო, იდექი აქ და ელოდე, სანამ უნივერსიტეტის რექტორი არ მოვა და არ დაგიძახებს - არიქა, წამოდი მიშველე, ლექცია წაუკითხე, ბიჭიკია, სტუდენტებსო.

სალამოს დაღლილი, მაგრამ ოცი ლარით ხელდამშვენებული დავრბუნდი ოჯახში.

- ნეტავ აქამდე დაეთხოვეთ სამსახურიდან, - გაიძახოდა ჩემი მეუღლე.

თითქოს ჰერმა აიწია და კედლებმაც გაიწვამოიწიეს ჩემს ოჯახში. დიდიან-პატარიანად ყველას სახე გვიღიმოდა და ერთმანეთს თვალებში შევკვიცინებდით. ეს რა შეძლება „ხელის ჭუჭყს“?! - ვფიქრობდი სახეზე ღიმილდაბრუნებული და ყოველი დილის მოსვლა მიხაროდა.

V I

მზიანი დილა გათენდა, წამოვდექი თუ არა ლოგინიდან, ჩვეულებისამებრ, ფანჯრისკენ გავეშურე ფარდა გავწიე და... სახტად დავრჩი. ჩვენს თუთის ხეს ფოთლები ფანტელებივით ცვიოდა და იაღლოუჯის მთებსაც თეთრი ფერი დასდებოდა. ლურჯ ცაზე ამომავალი მზე სხივებს ირგვლივ მთელი მონდომებით ფანტავდა, მაგრამ ეტყობოდა, უკვე ძალაგამოლეული იყო.

- ღმერთო ჩემო, ეს ხომ თრთვილია! ამას ჩქარა მოჰყვება ცივი და ზოზინა ზამთარი, მე კი ოჯახის ზამთრისათვის მომზადება ვერ შევძელი - ჩავილაპარაკე ჩემთვის სევდიანად. დიდხანს ვიდექი ფანჯარასთან ცივი ზამთრის შიშით დამუწვებული და გათეთრებულ მთებს გავცქეროდი.

- რა მოხდა, მუხრან! რას უცქერი ამდენ ხანს? - მკითხა მეუღლემ.

- ზამთარმა მოგვიკაკუქა კარზე, მანანა.

- კარგი ამინდი ჩანს?

- გარეთ თრთვილი ღვეს, მანანა.
 - თრთვილი?
 - ჰო, თრთვილი, მაცნე ზამთრის მოახლოებისა, - ვუთხარი მეუღლეს და ჩაიდანში წყალი ჩავასხი, ჩაი დავლიე და სამუშაოს საძებნელად გავწიე.
 - მუხრან, ნეტავ თრთვილმა ხომ არ შეაშინა ხალხი, ღღეს გუშინდელთან შედარებით ორჯერ ნაკლებია მოთხოვნა მუშახელზე, - დაიწუწუნა მოსვლისთანავე ფარნავაზმა.
 - ალბათ, რომ დათბება, მერე მოვლენ.
 - ღღეს ბიჭებმა ერთიანად ჩამოჰყარეს ყურები, სეზონი დამთავრდაო, გაიძახიან.
 - რა გვეშველება, ფარნავაზ?
 - არ ვიცი, ძმაო, მართალია, რაღაც ვიშოფე, მაგრამ რაც ჩემს ოჯახს სჭირდება ამ ზამთარში, ეს მისი მეთაურობა კი არ არის, ბიჭო!
 - შენ რა გიშავს, ძმაო, სიმინდი და ლობიო მაინც გექნება, მე ვიკითხო...
 - ნუ ჩამოყარე ყურები, მუხრან! გამოჩნდება რამე.
 - გამოჩნდება, აბა, რა ჯანდაბა იქნება!
 - მოდი, ხვალის ღღის იმედი დავლოცოთ, - წარმოსთქვა ფარნავაზმა.
 - მერე და რით დავლოცოთ?
 - არყით
 - არაყი სადაა?
 - აქვეა, მაღაზიაში.
- შუადღისას კარგა გამობრუნებული დავბრუნდი ოჯახში. ამის შემდეგ ღღე-ღღეს მისდევდა, კვირა-კვირას, მაგრამ სამუშაო არადა არ ჩანდა, მე კი უფრო და უფრო ხშირად ვბრუნდებოდი სახლში მთვრალი.
- მუხრან, ღღეს ღღის გადასახადზე იყვნენ და დამემუქრენ: თუ ხვალ არ გადაიხდით, ჩაგიჭრითო. ღღე-ღღეზე გაზზე-დაც მოგვაკითხავენ, - მითხრა გამობრუნებულს მეუღლემ.
 - მოგვაკითხავენ და გავუტეხავ თავს, წავიდნენ და პრეზიდენტს მოსთხოვონ, მე მაგათი...

- მუხრან, რა მოგდის ამ ბოლო დროს?
- რა უნდა მომდიოდეს, ბიჭები ერთმანეთს მოგვეფერებოთ -ხოლმე, მეტი არაფერი.
- ნულარ წახვალ, მუხრან, ბირჟაზე სამუშაოს საშოვნელად, ხომ ხედავ, მაინც არაფერი გამოდის.
- რას ჰქვია, ნუ წავალ, მერედა ვინ გარჩენთ?!
- ეს რა რჩენაა, სახლში აღარაფერი მოგაქვს და ყოველ-დღე მთვრალი ბრუნდები. რას ჰგავხარ ახლა, შენ?
- ვის აკადრე შენ ეგ, მე შენი... - ავფეთქდი ერთბაშად.
- მუხრან!
- ჰო, მუხრანი ვარ, მუხრანი! - თქვე უსუსურებო, თქვენა, მე რომ არ ვიყო, შიმშილით დაიხოცებოდი.
- როგორ, არ ვიხოცებით შიმშილით?
- ქალო, შენ ენა ნუ დაიგრძელებ, თორემ!...
- რა გინდა, მამა, დედასგან, ტყუილს გეუბნება?
- შენ ვინლა გკითხავს, შე გველის წიწილო, შენა! - შევძახე და თექვსმეტი წლის ქალიშვილისკენ სილის გასაწნავად გავი-წიე.
- არ გაბედო, მუხრან! შეჰკივლა მეუღლემ და წინ გადამ-ელობა. შეშინებული ბავშვი დედის ზურგს აეკრა შიშისაგან თვალგებფართოებული.
- არ გაბედო, მუხრან! - გამიმეორა ისევ მეუღლემ და თვალი თვალში გამიყარა. მისმა თვალებმა ერთიანად მომაშთო და მრისხანება დამაკარგვინა. ერთბაშად გამოვჩიზლდი, შემ-რცხვა და შემეშინდა. შემეშინდა ჩემი სისუსტისა, რომელმაც სმისაკენ მიბიძგა. ცოლს და შვილს თვალი მოვარიდე, იქვე ჩამოფეჭი სავარძელში თავჩალუნული, იმ წუთში მხოლოდ ერთს ვცდილობდი, არ მეფიქრა არაფერზე.
- თითქმის ერთი საათი არც სიტყვა მითქვამს და არც თავი ამიწევია. ფიქრით მთელი სამყარო მოვიარე საშველის ძებნაში, მაგრამ ნავსაყუდელი ვერადა ვერ ვიპოვე. ოთახში არც შვილი და არც ცოლი არ შემოსულან.
- რას ვერჩოდი იმ უმწეოთ, ეჰ, ღმერთო ჩემო, ხშირ შემთხვევაში რა უსამართლონი ვხდებით ადამიანები, როცა

საკუთარ სისუსტეს ველარ ვუმკლავდებით.

- მუხრან, რად დაგიხრია თავი, შე კაცო? ცხოვრებაა ასეთი, ხან გვექნება და ხან არა, ხან ვიჩხუბებთ, ხანაც ერთ-მანეთს მოვეფერებით. ადექი, გამოდი ჩვენთან, ბავშვი წუხს - მამას გული ვატკინეო. გამოდი, გაეხუმრე, იქნებ დამშვიდდეს! - მთხოვა ოთახში ჩემს დასამშვიდებლად დაბრუნებულმა მეუღლემ.

- ახლავე გამოვალ, მანანა.

- ნუ დაიგვიანებ, ბავშვი ნერვიულობს.

მეუღლის თხოვნა ყურად ვიღე, წამოვდექი და მასთან ერთად გავედი ბავშვთან.

- რაო, შვილო, ხომ არ მემდურია? - ვკითხე ქეთიას.

- არა, არ გემდური, რატომ უნდა დაგემდურო, შენ ხომ მამა ხარ ჩემი.

ამის შემდეგ არც ერთს მომხდარზე კრინტი არ დაგვიძრავს, საღამო ჩვეულებრივად გავატარეთ.

თითქმის მთელი ღამე არ დამეძინა. ვფიქრობდი ყველასა და ყველაფერზე. წასრულსა, აწმყოსა და მომავალზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის მესვეურთა წყალობით, საკმაოდ ბუნდოვანი ჩანდა. ბევრჯერ ვინატრე, ნეტავ ღმერთს ადამიანისათვის რეალობის აღქმის უნარი არ ეწყალობებინა - მეთქი, მაგრამ ნატვრა ნატვრად დარჩა და ღმერთისაგან ნაწყალობევი უნარი რეალობის აღქმისა - რეალობად. მივხვდი, რომ ადამიანი, ყველა სულიერთაგან განსხვავებით, ყველაზე აუტანელი ცხოვრებით ცხოვრობს, მაგრამ მიკვირს რატომ არ გაცელებას ის ამ ჯოჯობხეთს თავისივე სურვილით? ადამიანის ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა ბრძოლა. სიცოცხლე კი აუცილებელია ამ ბრძოლის საწარმოებლად. ამასთან ერთად, ეს ბრძოლა მამოძრავებელი ძალაა სამყაროში ყოველივე პროგრესისა და პროგრესის ღვთის ნება-სურვილია, რომელიც ოდესმე თვით უზენაესთან დაგვაახლოებს.

მიხვედრამ იმისა, რომ კაცობრიობა, უზენაესისაკენ ისწრაფვის, ცოტა გულიც დამიმშვიდა და იმედიც გამიჩნდა.

- არა, არ ღირს, შავი ფიქრების მონად ქცევა, - შემ-

ოვესდახე თავს და ხალისით წამოვხტი. ჩხუბის შემდეგ ჩემი ცოლ-შვილისაგან ნაჩვენებმა სითბომ და მომავლის იმედმა ბრძოლისათვის განმაწყო.

V I I I

- გამარჯობა, მერაბ!
- გაგიმარჯოს, მუხრან!
- მერაბ, რაშია საქმე, ამდენი ხანია მატარებლით ვმგზავ-რობ და დღეს პირველად შეგნიშნე აქ.
- არ იფიქრო ჩემი სურვილით ვარ.
- ვინ გაიძულე მითხარი, დედას ვუტირებ.
- ჯერ მისთვის დედა არავის უტირებია, მან კი ბევრს უტირა, მათ შორის მეც.
- მაინც ვინაა ასეთი, ვერ მეტყვი?
- გეტყვი, როგორ არ გეტყვი, ცხოვრებაა ასეთი, მუხრან! ცხოვრება! მე მისი... მეცნიერი კაცი ამ სიბერეში არ გამომის-როლა გარეთ?
- კაბინეტის კაცმა სიბერეში რისი გაკეთება უნდა მოახ-ერხო, მერაბ! რაიმე ხელობა თუ მაინც იცი?
- რა ხელობა, რის ხელობა, გაჩიანში დავდივარ, თათრებს მიწას ვუბარავ. დღეში ოთხ-ხუთ ლარს ვაკეთებ.
- ოთხი-ხუთი ლარისათვის თათარს უნდა ემსახურო?
- ცარიელი კუჭი, მუხრან ბატონო, თათრის კი არა ემშაკის აღიუტანტადაც გაქცევს. შენც გირჩევ ჩემთან წამოსვლას.
- მე მარტო არ ვარ, ელიავაზე მეგობარი მელოდება.
- შოულობთ რამე სამუშაოს ამ ცივ ზამთარში?
- სადაა სამუშაო!
- მაშინ, გირჩევდით, ჩემთან ერთად იმუშაოთ.
- მეგობარს დავეკითხები, ვნახოთ, რას მეტყვის, იქნებ დაუჯდეს ჭკუაში!
- ვითომ რატომ არ დაუჯდება, ოთხი-ხუთი ლარი, რაც არ უნდა იყოს, პურის ფული მაინცაა ოჯახში.
- ვნახოთ, მერაბ.

სოფელ ალთაქლას, რკინიგზის ბაქანზე, მგზავრთა თითქმის ნახევარი ჩამოვიდა მატარებლიდან. მერე, ჩამოსულნი ორად გაიყვნენ, ერთი ნაწილი, ძირითადად მოხუცები, მარჯვნივ აუყვნენ აღმართს სააგარაკე ნაკვეთებისკენ, უფრო ახალგაზრდები კი ბაქნიდან მარცხნივ, პატარა მინდორზე შექუჩდნენ. მე და ფარნავაზი მერაბს გვერდიდან არ ვცილდებოდით და მოთმინებით ველოდით დამქირავებელს.

- ზალიკო, შენი „ძმაცა“ მოდის, გვეშველა, - გადაულაპარაკა ჩემს გვერდით ერთმა ახალგაზრდამ მეორეს.

- ისემც მაგისი ოჯახი აშენდება, ეგ ჩემი ძმაცა არ იყოს. მაგ უსინდისომ გუშინ ერთი ლარი დამაკლო. ამის პატრონს კაცი რომ ფულს დააკლებს, ღმერთის სწამს იმას?! - თქვა ზალიკომ და მეგობარს დამსკდარ-დაკოყრილი ხელისგულები უჩვენა.

- ოჰ, მე მაგის დედა... როგორ იკადრა ეგ?! დღეს რას აპირებ, ისევ უნდა გაჰყვე?

- თუ საქმე ვერ ვიშოვე, სხვა რა გზა მაქვს, ოჯახს შიმშილით ხომ ვერ ამოგზოცავ?

- ცოტა მაგრად დაუდექი, ზალიკო, ვერ ხედავ სულ რომ „განაგლოდნენ“.

- მე სუსტი ძლიერს მაგრად როგორ დავუდეგე? ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება.

- აბა, ასე ვიყოთ?!

- არ ვიქნებით და დავგვრჩება ოჯახი მშვიერ-მწყურვალი.

- კარგი, თუ ძმა ხარ, მონებად ხომ არ უნდა ვიქცეთ?

- ვიქეცით და ესაა.

- მერედა, როგორ შეძლო უცხომ ასე რომ დავგაბეჩავს ჩვენს მიწა-წყალზე.

- მაგაზე პასუხი ორი სიტყვით არ გაიცემა.

- გამარჯობა, ზალიკო, მელოდები არა? - იკითხა აზერბაიჯელმა.

- გელოდები, მუსტაფა, მაგრამ ისეთები აღარ იყოს.

- რა ისეთები? რის ისეთები? ოთხი ლარი გააკეთე და

მოგეცი.

- ის ხუთი ლარის სამუშაო იყო, მუსტაფა.

- არ მოგწონს, კარგად გნახე, ვინც მოწონს იმას წაიყვან. ოთხი ლარი მოგცის, კარგად გაჭამოს და კიდევ პრეტენზია, - სხვასთან წახვიდე! ვის გეხვეწება?

- წავალ.

- წადი, ფეხებზე გკილია! - მუსტაფა არხინად გასცილდა ზალიკოს.

- დავრჩი მეონი უბურისფულოდ, ზედმეტი მომივიდა, გურამ! - დანანებით ჩაილაპარაკა ზალიკომ.

ხუთი წუთიც არ დასჭირვებია მუსტაფას მუშების საშოვნელად. ცოტა ხანში ამაყად თავაწეული „მუშათა ბაზრიდან“ გავიდა ორ თავდახრილ ქართველთან ერთად, ჩვენთან კი ახალგაზრდა აზერბაიჯანელი მოვიდა.

- მერაბს გაუმარჯოს! - მოგვესალმა მოსული.

- გაგიმარჯოს, ალი!

- მერაბ, რა გადაწყვიტე, შეშას დამიჩეხავ ოც ლარად, თუ არა? - ჰკითხა გამართული ქართულით მოსულმა.

- ვერ დაგიჩეხავ, ალი, შენი შეშა კორძიანია. თავიც რომ გავიმეტო, მინიმუმ სამი დღე მაინც დამჭირდება.

- გაიმეტე მერე, ფულს გაძლევი, კიდევ გაჭმევი, მეტი რა გინდა, ვერ გამიგია?

- ვერა, ვერ შევძლებ, მირჩვენია ვბარო.

- კარგი, მაშინ წადი ჩემთან და დაიწყე ბარვა, თუ არა, მოვიდა შუადღე.

- ცოტა ხანს ვერ წავალ, იქნებ ამათაც ვუშოვო სამუშაო.

- ესენი ვინ არიან?

- ჩემი მეგობრები.

- შენი მეგობრები?

- ჰო, ჩემი მეგობრები. დღეს პირველად არიან აქ.

- მაგათ დამიჩეხონ შეშა, არ გაუჭირდებათ.

- ხუთი ლარი წაუმატე და დაგიჩეხავენ.

ალის მერაბისათვის არაფერი უპასუხია, მზერა ჩვენსკენ მოაპყრო, მუშტორის თვალით აგვათვალ-ჩავვათვალიერა, მერე

ისევ მერაბისკენ შებრუნდა და უთხრა:

- არა, ესენი არ გამომადგებიან.
- რატომ?
- მოხუცები არ მინდა, მთელი კვირა ვერ დაჩეხავენ.
- შენ, კაცო, ჩვენი პრეზიდენტის ბიძაშვილი ხომ არ ხარ?
- მოულოდნელად ხმა ამოიღო ფარნავაზმა.
- ვერ გავიგე?
- რა ვერ გავიგე, შენ ჩვენი პრეზიდენტის ბიძაშვილი ხომ არა ხარ-მეთქი?
- არა, არ ვარ.
- მაშინ რად ჩამოგვწერე, ერთი ხელის მოსმით, მე და ეს პატროსანი კაცი. ნიძლავს დავდებ, ამ „მოხუცს“ რომ დაეჭიღო, კვახივით გაგაგორებს ძირს.
- რომ ვერ გამაგოროს?
- გითხარი გაგაგორებს-მეთქი. თუ გინდა, ნიძლავი დავდოთ.
- დავდოთ! თუ მე გაგაგორე, იცოდეთ, შემასაც დამიჩეხავთ, მიწასაც დამიბარავთ და სახლისათვის საძირკველსაც ამომითხრით, - ალიმ მუხრანი ერთხელ კიდევ შეათვალა.
- შენ რომ მოგერიოს, მაშინ?
- ორას დოლარს დავდებ.
- წადი ტანსაცმელი გამოიცვალე და ფულიც მოიტანე. გარიგება ჩემდადასუკითხავად დადო ფარნავაზმა.
- ფარნავაზ, აბა, რას ხუმრობ? - ვუსაყვედურე მეგობარს.
- მუხრან, დამიჯერე, არაფერს წააგებ!
- რა დაგიჯერო, რაღა დროს ჩემი ჭიდაობაა?
- მუხრან, აქ ორას დოლარზეა საუბარი. თუ მოიგებ, ხომ კარგი და თუ ვერ მოიგებ, ჩათვალე, თითქოს ორი-სამი დღე სამუშაო ვერ გვეშოვნოს.
- არა ფარნავაზ! ამ ხნის კაცი თავს ვერ გავიმასხარავებ. ვთქვათ, კიდევ რომ დავეჭიღო, იმხელა ვერზილას მე რა უნდა დავაკლო, ბიჭო, ხომ გამჭყლეთს წრუტწუნასავით.
- უნდა დაეჭიღო, მუხრან! ეს შენ გჭირდება, არა მარტო უნდა დაეჭიღო, არამედ უნდა მოუგო კიდევც.
- მერედა როგორ?

- ჭიდაობისას შენი ოჯახი გაიხსენე. გაიხსენე ის დროც, როდესაც მაგაზე მაგარ ბიჭებს ბურთივით გააგორებდი-ხოლმე.
- კარგი რა, ფარნავაზ!
- კარგი არ უნდა მაგას, უნდა იჭიდაო და უნდა მოუფო კიდეც! - გაიმეორა ფარნავაზმა.
- რა ვქნა, წავიდე მოვიტანო ფული? - იკითხა ალიმ.
- წადი და მოიტანე. ნეტავ აქამდე რას ელოდი?
- გამარჯვებაში დარწმუნებულმა ალიმ აჩქარებული ნაბიჯით გასწია შინისაკენ.
- მუხრან, როგორც დაგარიგე, წაგება ერთხელაც არ გაივლო გულში. გახსოვდეს, რომ შენ ოდესღაც სპორტის ოსტატი იყავი ჭიდაობაში.

X

- განი, ბიჭებო, განი! წრეს ნუ ავიწროებთ. მოჭიდავეებს მიეცით საშუალება ნორმალურად იჭიდაონ, - გაიძახოდა ჩემი მეგობარი და დაძაბულ მაცურებლებს ფეხის წინ გადმოდგმის საშუალებას არ აძლევდა. წრეში ერთმანეთის პირისპირ იდგნენ თმაშევერცხლილი შუახნის ჯმუხი მამაკაცი და მასზე გაცილებით მხარბეჭიანი ახალგაზრდა.
- ჭიდაობის დაწყებამდე ფული ჩვენ გადმოგვეცი, ახალგაზრდავ! - სთხოვა ფარნავაზმა ალის.
- რატომ შენ?
- არა მარტო მე, შენი მხრიდანაც აირჩიე სანდო კაცი და ორივეს ერთად გადმოგვეცი.
- სადიც! - გასძახა ალიმ, მის მოწოდებას ოცდაათწლამდე ასაკის ახალგაზრდა გამოეხმაურა. ალიმ და უცნობმა თავიანთ ენაზე რაღაც დაილაპარაკეს, შემდეგ ალიმ ჯიბიდან ორი ასდოლარიანი ამოიღო და სადიცს გადასცა. სადიცმა გამოართვა თუ არა ფული, ფარნავაზისაკენ გაემართა. ჯერ დამტვრეული ქართულით რაღაც უთხრა, მერე დაიხარა და იქვე ახლოს ქვის ქვეშ დადო, თან ფარნავაზს სთხოვა მასთან ერთად ფეხი დაელო ქვაზე.
- რაღას უცდით, დაიწყეთ ჭიდაობა! - აჩოჩქოლდა ხალხი.

- დავიწყოთ, ახალგაზრდავ? - ჰკითხა მუხრანმა მოწინააღმდეგეს.

- დავიწყოთ, ძია, - იყო პასუხი და ალი გაბედულად დაიძრა მოწინააღმდეგისაკენ. ის იყო, ხელი უნდა ჩაეგლო, რომ მუხრანი ახალგაზრდული სიმკვირცხლით გაეცალა ალის, რომელსაც ხელი ჰაერში დარჩა გაწვდილი.

- სად და რამდენ ხანს უნდა ირბინო, - თქვა ქართულად აზერბაიჯანელმა და მუხრანს დაედევნა, დაიჭირა, ჰაერში ატაცება სცადა, მაგრამ ცდა არ გამოუვიდა. მოხუცმა ფეხის ჩახვევა მოასწრო და მოწინააღმდეგეს ილეთის ჩატარების საშუალება არ მისცა.

- ყოჩაღ, მუხრან! შენ გენაცვალე, აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო! - გაიძახოდა ფარნავაზი და ადგილზე ხტოდა.

დიდხანს ეცადა ალი, ძირს დაეგდო მუხრანი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოახერხა. ცოდნამ და გამოცდილებამ ძალას აჯობა. მიხვდა თუ არა ახალგაზრდა, რომ ასე არაფერი გამოუვიდოდა, მოწინააღმდეგეს ხელი გაუშვა და ახალი შერკინებისათვის მოემზადა. პირველი შემოტევის იოლად მოგერიებით გათამამებული მუხრანი თვითონ გადავიდა შეტევაზე. მოწინააღმდეგეს წელში შეუვარდა და მოგვერდით სუფთაზე დააგდო. ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ძირს გაგორებული კარგახანს აზრზეც ვერ მოეგო, თუ რა მოხდა. აზერბაიჯანელებმა ერთბაშად იქციეს პირი გაგორებული თანამემამულისაგან და თავიანთ საქმეს მიხედეს. ალიმ ერთი მიიხედ-მოიხედა და თავისთვის ჩაილაპარაკა - ეს რა მიყო მოხუცმა!

რამდენიმე წუთის შემდეგ თავშეყრის ადგილას მხოლოდ მე, ფარნავაზი, ალი და მერაბი დავრჩით, მდუმარედ მდგარნი.

- ალი, არ წავიდეთ? ისედაც მოკლე დღეა და ამდენი დროის დაკარგვა როგორ შეიძლება, - სიჩუმე დაარღვია მერაბმა.

- წავიდეთ, - დაეთანხმა დარცხვენილი ახალგაზრდა და წინ გაუძღვა მერაბს. მე და ფარნავაზმა ერთმანეთს გადავხედეთ. რა ვქნათ, ფარნავაზ, არ გავყვეთ?

- გავყვეთ, მუხრან, რა ისეთი ძნელი უნდა იყოს შეშის

დაჩეხვა, რომ ვერ შევძლოთ, ფასზედაც ნუ შევევაჭრებით, რასაც მოგვცემს, მოგვცეს.

- მაშინ, წავიდეთ!
- მერაბ! - გასძახა ფარნავაზმა. მერაბი და ალი ერთდროულად შემობრუნდნენ.
- რა გნებავეს, ფარნავაზ?
- ლაგველოდეთ, ჩვენ წამოვალთ შეშის დასაჩეხად.

X I

სალამოს მე, მერაბი და ფარნავაზი ერთად ვბრუნდებოდით შინ. შეშის დაჩეხა, მართლაც რომ, მძიმე საქმე აღმოჩნდა. სახლში მისულებს, თითო ბოთლმა წითელმა ღვინომ და შესანიშნავმა განწყობამ მთლად დაგვაავიწყა დაღლილობა. ცოტა ხანში ისე შევჭიკჭიკდით, სიმღერაც კი შემოგძახეთ. იმ ღამეს ფარნავაზი ჩემთან დარჩა ოჯახში, დილით კი ისევ გავწიეთ გაჩიანში ალისთან.

მისვლისთანავე ჩაი შემოგვთავაზა მასპინძელმა, მაგრამ ვიუარეთ და პირდაპირ დავიწყეთ შეშის დაჩეხვა.

დაახლოებით თორმეტი საათისთვის ჭიშკარზე ვილაცამ დააკაკუნა. მთელი ოჯახი ერთბაშად გამოცვივდა სახლიდან და ჭიშკრისკენ გაემართა ქაქანით. გაიღო თუ არა ჭიშკარი, ალიმ რაღაც შესძახა და ჭიშკართან მომდგარ ოცდაათხ-ოცდახუთი წლის, საშუალოზე ოდნავ დაბალ ახალგაზრდას გადაეხვია. მერე ოჯახის ყველა წევრმა გადაკოცნა მოსული და განარებულნი სახლში შემობრუნდნენ, საიდანაც მთელი ერთი საათი ისმოდა ხმამაღალი საუბარი და სიცილ-ხარხარი.

- რა უხარია, მერაბ, ამ ხალხს?
- ალი გუშინდელ ამბავს ჰყვება და იცინიან.
- ორასი დოლარი დაკარგეს და ნეტავ რა აცინებთ?
- ორასი დოლარის დაკარგვა ამ ოჯახისთვის ისეთივე ზარალია, როგორც ჩვენთვის ოცი თეთრის.
- ნეტავ როგორ ახერხებენ ამდენი ფულის შოვნას?
- რას ჰქვია როგორ ახერხებენ?! მაგათ ბედზე დაიშალა საბჭოთა კავშირი, ძმაო. ენა იციან, გადიან ირანში და შე-

მოაქვთ ათასი რამ. ახლა ამ ოჯახის საწყობში მინიმუმ ნახევარი მილიონის საქონელი აწყვია. ეს კიდევ არაფერი, იმასაც ამბობენ, ნარკოტიკები შემოაქვთო.

- არა ეზომი მოყვანილი მწვანილის ფულით აიშენებდნენ ამხელა სახლებს?! - წამოეშველა ფარნავაზი მერაბს. ნეტავ საქართველოში ყველაფერზე ისე ჩვენ მიგვიწვდებოდეს ხელი, როგორც ამათ. ქართველთა ბედის ბორბალი უკულმა ბრუნავს დღეს ჩვენსავე მშობლიურ მიწაზე, - გააგრძელა მერაბმა.

- ნეტავ, როგორ ახერხებენ სხვა ერები სხვის მიწაზე საკუთარი ბედის ბორბლის დაბრუნებას, ასე იოლად?

- ახერხებენ, ძმაო, და არ არის გასაკვირი. ეს ყველაფერი კანონზომიერებიდან გამომდინარეობს.

- ეგ კანონზომიერება ჩვენთვის არ არსებობს?

- ჩვენთვისაც არსებობს, მხოლოდ საუბედუროდ.

- რატომ საუბედუროდ?

- იმიტომ, რომ ნებისმიერ ქვეყანაში მკვიდრ ერს მეტი საზრუნავი და პასუხისმგებლობა აწევს, რაც გამოწვეულია სამშობლოს განცდით, ვიდრე შემოსულს. შემოსულ ერებში უფრო სტუმრის განცდაა და ამიტომაც დიდად არ აწუხებთ იმ ქვეყნის ტკივილი, სადაც ისინი ცხოვრობენ, ამიტომაც ცდილობენ, მეტი მატერიალური კეთილდღეობა მიიღონ მისგან და თვითონ არაფერი მისცენ.

მოულოდნელად სახლში სიცილ-ხარხარი შეწყდა და კარი გაიღო. ჩვენც შევწყვიტეთ საუბარი, მზერა გავაპარეთ ღია კარისაკენ, საიდანაც ალი და მისი სტუმარი გამოვიდნენ.

- მუხრან, ეს ჩემი ბიძაშვილი აზერბაიჯანის ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში, ხომ არ დაეჭიდები?

- ვერ დავეჭიდები.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ვიცი მომიგებს და როცა შედეგი ცხადია, რალა აზრი აქვს დაჭიდებას?

- თავს ნუ იკატუნებ, მუხრან, მე კარგად წამომიკიდე და...

- შენ, შენ ხარ, ჩემპიონი კი ჩემპიონია.

- რაც ბავშვობაში მე ეს მიგორავებია...

- მერე რა, ახლა ველარ აგორავებ.
- მუხრან, დაეჭიდე. თუ მოუგებ, ხუთას დოლარს მოგცემ,
- მთხოვა ისევ ალიმ.
- ვერა, ვერ დავიჭიდები.
- დაეჭიდება, რატომაც არ დაეჭიდება. - ჩაერთო საუბარში ფარნავაზი.

- შენ დაეჭიდე, თუ ასე ადვილია ჩემპიონთან ჭიდაობა ჩვენი ხნის კაცისა.

ფარნავაზს ჩემი ნათქვამისათვის ყურიც არ უთხოვებია, ისე გადავიდა მოლაპარაკებაზე.

- ალი, მუხრანი დაეჭიდება და კიდევ მოუგებს შენს ბიძაშვილს, მაგრამ დღეს ეს არ მოხდება.

- რატომ?
- იმიტომ რომ შენი ბიძაშვილი ღამენათევია.
- სამაგიეროდ ჩემპიონია.
- არა, მუხრანი ის კაცი არ არის, ასეთი უპირატესობა გამოიყენოს, ხვალ იჭიდაონ. ხომ მართალს ვამბობ, მუხრან?

- ნეტავ გაჩუმდებოდე, ფარნავაზ!

- შეგეშინდა მუხრან? - მკითხა ალიმ.

- არ მეშინია, მაგრამ...

- მე თამამად იმიტომ დამეჭიდე ჩემპიონი რომ არ ვიყავი?

- მუხრანს ჩემპიონების არ ეშინია, უბრალოდ, დღეს არ უნდა დაეჭიდოს შენს ღამენათევ ბიძაშვილს, ხომ მართალია მუხრან? - კიდევ ერთხელ მოახდინა თავისი აზრის აფიშირება ჩემმა მეგობარმა.

ფარნავაზს წყრომით გადავხედე, მაგრამ არაფერი მითქვამს.

- ჰო, ხვალ იჭიდაონ, დღეს კი დაისვენოს შენმა სტუმარმა,

- დაიჯინა ფარნავაზმა.

- კარგი, ასე იყოს, - დაეთანხმა ალი ფარნავაზს და ხელი ხელზე დაურტყა.

X I I

- მუხრან, გწამდეს, რომ შენ ძლიერი ხარ და აუცილებლად გაიმარჯვებ. ხომ გწამს, ბიჭო?

- მწამს - ვუპასუხე ფარნავაზს ისე, რომ ზედ არ შემინდებოდა.

- მუხრან, თუ გავიჭირდეს, შენი შვილები და შვილიშვილი გაიხსენე, ძალას შეგმატებს.

- გავიხსენებ, ფარნავაზ!

- ხუთი „მწვანე ფრანკლინიც“ გაიხსენე, მუხრან! ძალას შეგმატებს.

- გავიხსენებ, ფარნავაზ!

- შენ ძლიერი ხარ, მუხრან! - გამიმეორა ისევ.

- ვიცი, უძლეველი ვარ.

- მაშინ, მიდი, რაღას უყურებ! - მითხრა და იატაკზე გაფენილ ძვირფასს ხალიჩაზე შემადგო, სადაც აზერბაიჯანის ჩემპიონი მსუბუქ წონაში, ალის ალალი ბიძაშვილი, სათთარი მელოდა.

პირველი ორი წუთი თათარი ხალიჩაზე, როგორც პეპელა ისე დაფრინავდა. მხოლოდ ორჯერ მოგახერხე მასთან მიახლოება და მაშინაც არ უცდია ილეთის გაკეთება, გაქცევაზე უფრო ფიქრობდა. გავიდა თუ არა პირველი პერიოდი, „მსაჯებმა“ - ალიმ და ფარნავაზმა, წუთშესვენება გამოაცხადეს.

- ყოჩაღ, მუხრან! - კარგად შეაშინე, ატყობ, ახლოს მოსვლასაც რომ ვერ ბედავს?!

- ვაი, შე, ბაიყუშო, შენა! შენ რა გაგეგება ჭიდაობის. ეგ ცრუ მოძრაობებით ჯერ დამლოის, მერე კი ტომარასავით წამომიკიდებს ზურგზე და დამაბერტყებს ძირს.

- ეგ რა თქვი, მუხრან?! მაგაზე არც იფიქრო. იფიქრე, რომ მას შენი ეშინია.

- მე ვიფიქრებ, ის კი გამაგორებს!

- გრცხვენოდეს, მუხრან! მძიმე წონის მოჭიდავე როგორ შეგაშინა ამ ციციქნამ?! - მისაყვედურა მეგობარმა და ალიმაც თავისი სასტვენით გვამცნო მეორე პერიოდის დაწყება.

გადავდგი თუ არა ფეხი ხალიჩის შუაგულისაკენ, ფარნავაზმა ჩამჩურჩულა - გახსოვდეს შენი პატარაო. შვილიშვილის გახსენებამ გამაადფთრა და გამაალმისა. სათთარს მაჯაში ვწვდი და ჩემკენ მოვიზიდე. ახალგაზრდა მოჭიდავე ამოდ

ეცადა ხელი გაეთავისუფლებინა, მაგრამ ამაოდ. მეორე ხელი კისერზე მოვდებ, ქვევით დავხარე და ზემოდან მოვექეცი. მერე ელვისსისწრაფით ორივე ხელი წელზე მოვხვიე, ჰაერში ავიტაცე და ბეჭებით დავანარცხე ხალიჩაზე. სტუმრის დამარცხებით ყურებჩამოყრილი ალი მეზობელ ოთახში გავარდა ხუთასი დოლარის გამოსატანად.

ფარნავაზის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, ხტოდა და ცქმუტავდა ამხნის კაცი.

* * *

იმ ღამეს ჩემი სტუმარი გახლდათ ფარნავაზი. მხოლოდ ღვინის დასალევად აღარ გვეცალა. მაგიდაზე, ჩვენს წინ, შვიდი მწვანე მართკუთხა ქალაქი იდო და იმ ქალაქების იმედით, ჩვენს მომავალს ვეგმავდით.

სარჩევი

ხუთი თავი ყველი	4
თოლია	10
დედას გეფიცვები	17
შეხვედრა დიდუბის სადგურზე	22
დილა მშვიდობისა, ჩიკიტო!	27
მანანო	33
კოსტიუმი	38
მატარებელში	45
მეფე და ავაზა	50
მაწანწალა	56
დარიკო ბებიას კიტრა ვაშლები	64
დარაჯი	69
თურმე იქ აფრიკაში ჩიტია	71
ბიჭი და ზღვა	74
მეეზოვე გოგია	81
ჩემი „ნიავექარი“	86
კაცურკაცობის საზღაური	91
მოლაღაბე	98
ხეობის ტყვე	119
გულადა	139
ტოროლები	144
ქარისაგან დევნილ ფოთოლივით	149
ჰალსტუხი	153
შეხვედრა აღდგომის დღეს	158
სიყვარულის მსხვერპლი	163
შინაბერა	177
სამშობლოსათვის! სტალინისათვის!	180
წისქვილში	186
ერთი ჭიქა რბე	191
„ლამპოჩკის“ გამყიდველი	195
ქალბორბალა	198
აბდულა	206

გიულნარას ლიპიომკები	211
ბარკაი	219
ვალი	227
მშობლიური ქვაბი	238
ახალწლის ღამეს	250
უღაბნოში	255
ღოია	265
უმიშროების პოლკოვნიკი	273
ჩემი მეგობარი ჩოკანი	290
დედის წერილი	303
კომშის ფოთლები.	308
მოჭიდავე	313
ეჰ, ჯული! ჯული!	318
ჩანჩურა - კუდაბალახა	321
გაჩიანის ეპოპეა.....	359

წიგნი დაიბეჭდა ქ. რუსთავის მერიის თანადგომითა და ხელშეწყობით, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ რუსთავის მერს ბატონ მამუკა ჩიქოვანს, ასევე მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურს.

ვახტანგ გოგოლაძე

დედის წერილი

მოთხრობები

რედატორი: ალმარ ლომიძე

კორექტორი: ზინა გოგოლაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: კახა თაბაგარი

რუსთავი - 2010